F 1/2 № 12900

№ 138
ივლისის 3, ოთხშაბათი, 1902 წ.

1877

ივერია

1902

№ 138
ივლისის 3, ოთხშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ ივლისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს ექვს მანეთად. (6. მ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117და 118)და ქ. შ. წერა-კითხვ. გამავრც. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჰელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

კნ. მართა ზაქარიას ასული ჭავჭავაძისა შვილებითურთ, თავადნი ზაქარია და ნიკოლოოზ გულბაათის ძენი ჭავჭავაძენი მწუხარებით აუწყებენ გარდაცვალებასა—პირველი ქმრისა, მეორენი მამისა, ხოლო მესამენი ძმის

გენ.-მაიორის თავ. არჩილ გულბაათის ძის ჭავჭავაძისას

მიცვალებულს დაჰკრძალავენ სოფ. წინანდალში 3 ივლისს. (2—2)

ისყიდება ვერაზედ

სამ-სართულიანი სახლი, რომელსაც ბანკის ვალიცა აქვს.

ვერაზედვე, სათავად-აზნაურო სკოლის შენობის გვერდით, ისყიდება მამული, დაყოფილი ნაჭრებად, თითოეული 100, 200 და 300 ოთხ-კუთხი საჟენი. პირობათა შეტყობა შეიძლება „ივერიის“ რედაქციაში. (10—10).

ვ ე ქ ი ლ ი

ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა

ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ე. საგინაშვილის სახლში, № 21, ბ-ნ მ. გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით, „ივერია“-სეულს სადგომში.

ნახვა შეიძლება: დილის 8—10 საათამდე და საღამოს 7—9 საათამდე, კვირა დღეობით: მარტო დილით 9—12 საათამდე. (10—10)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

იღებს ყოველ დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 საათ. და 11—2-მდის.

კვირა-უქმე დღეებში 10—1-მდის და საღამოთი 5—7. ელისაბედის ქუჩა (კუკიაში), სახლი № 38. (წლ.)

კავკასიის სამოსწავლო ოლქის ნებართვით 5 თიბათვიდგან 20 მარიამობისთვემდის გახსნილ იქმნება **დაბ. სურამში**

სარეპეტიციო და მოსამზადებელი კლასები

მასწავლებლად არიან მოწვეულნი სპეციალისტნი, მაღალ სასწავლებლებში კურს-დამთავრებულნი. ვამზადებთ აგრეთვე კავკავის კორპუსისათვის.

მმართველნი კლასებისა ალ. ივ. ნათაძე და პერ. მიხ. კორსანიდი. (6—23)

დაბა ცხინვალში

კბილის ექიმი

ს. გ. შერმაზანოვისა

3 ივლისიდგან იღებს ავადმყოფებს. (2—373—1).

გორში

ექიმი ქ. ლ. ტურიაშვილი

იღებს ავადმყოფებს საკუთარს სახლში, ფრანგების ეკკლესიის ახლო.

კავკასიის **საიმპერატორო** სამეურნეო საზოგადოების ბბ-ნ წევრთ სთხოვენ მობრძანდნენ საზოგადოების კრებაზედ, რომელიც დანიშნულია ოთხშაბათს, 3 თიბათვეს, საღამოს 8 საათზედ.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1) სასტატისტიკო ბიუროს წევრთა არჩევნები.

2) საბჭოს მოხსენებანი: ა) შუამდგომლობა გამოფენის გამო მომხდარ დეფიციტის გასტუმრების შესახებ; ბ) შუამდგომლობა მულანოს მორწყვის შესახებ და გ) ოქმები საბჭოსი და საერთო კრებათა.

კრებაზედ დასწრება გარეშე პირთაც შეუძლიანთ. (2—6.—2)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—6-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლებსი ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. წ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

პ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

პ. ი. ბძელიშვილი. 6—7 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

გ. ა. თარხანოვი. 7—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კროვატები

კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩა; სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ბ. ზ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით, 10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

პ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა, და ბავშვებისა სამშაბათობით და პარასკეობით 1—2 საათზე. კვირაობით 9—10 საათზე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

გრ. ვ. სობოლევსკი—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით 1—3 საათ.

ბ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

მ. ი. იანჩევსკი: ყურისა, ყელისა და ცხვირისა 5—6. კვირაობით დილის 12—1 საათამდის.

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კ ვ ი რ ა ო ბ ი თ:

ზ. ზ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

წ ე ს დ ე ბ ა.

სამღვდელოთა და მედავითნეთა პენსიებისა და ერთ-დროებით შემწეობისა

(შემდეგი *)

III. პენსიის რაოდენობა

17) სრული პენსია დაენიშნებათ: ა) საკათედრო დეკანოზებს (საკათედრო ეკკლესიების წინამძღვრებს)—ხუთასი მან. წელიწადში; ბ) საკათედრო ტაძრების კანდელაკებსა და შტატის დეკანოზებს—ოთხასი მანეთი; გ) შტატ-გარეშე მყოფ დეკანოზებს, ქალაქისა და სოფლის ეკკლესიების მღვდლებსა და საკათედრო ტაძრების მთავარ-დიაკონებს—ორასი მანეთი; დ) ქალაქისა და სოფლის ეკკლესიების შტატის მთავრებს და საკათედრო ტაძრის იპოდიაკონებს—ორასი მან.; ე) მედავითნეთა ვაკანსიებზე მყოფ მთავრებსა და ქალაქისა და სოფლის ეკკლესიების მედავითნეებს—ასი მანეთი.

18) იმ მღვდელ-მსახურთ, რომელნიც ათის წლის განმავლობაში მაინც ასრულებდნენ კონსისტორიის წევრისა ან ბლაღოჩინის თანამდებობას, პენსია ემატებათ და ენიშნებათ ექვსასი მანეთი წელიწადში. შტატიდან წასვლის დროსაც რომ ამ თანამდებობაში არ იყოს მღვდელ-მსახური, მაშინაც ემატება პენსია.

19) ვინც ბოლონდელ თანამდებობას ხუთ წელიწადზე ნაკლებ დროს ასრულებდა, იმას პენსია წინანდელ დაბალ თანამდებობის კვალობაზე ენიშნება.

შენიშვნა: ეს მუხლი არ ეხება: ა) იმათ, რომელთაც სამსახურს თავი დაანებეს განუკურნებელ ავადმყოფობის მიზეზით და რომელთაც უფლება აქვთ, მე-12 მუხლის ძალით, შემცირებულ ვადით პენსიის მიღებისა და ბ) იმათ ოჯახებს, რომელნიც სამსახურის დროს გარდაიცვალნენ. ასეთ შემთხვევაში პენსია ინიშნება ბოლონდელ თანამდებობის კვალობაზე.

20) გარდაცვალებულ სამღვდელოს ან მედავითნის ქვრივს ენიშნება ქმრის პენსიის ნახევარი.

21) ქვრივს, რომელსაც ობლებიც ჰყავს, ნახევარ პენსიას ემატება მეორე ნახევრის მესამედი თითო ვაჟსა ან ქალზე, ასე რომ ის, ვისაც სამი ან მეტი მცირე-წლოვანი ბავშვი ჰყავს, იღებს სრულს პენსიას.

22) იმ მცირე-წლოვან ბავშვთ, რომელთაც მამის გარდაცვალების შემდეგ დედა არ ეყოლებათ, ენიშნებათ თითოს მეოთხედი იმ პენსიისა, რაც მამას ეკუთვნოდა, ასე რომ ოთხი ან მეტი ობოლი სრულ პენსიას მიიღებს.

შენიშვნა: ამავე წესით ენიშნებათ პენსია იმ უდედო ბავშვებს, რომელთაც მამაც ბერად აღიკვეცა.

23) თუ პენსია, ამ წესდების ძალით, ოც-დაათ მანეთზე ნაკლები იქმნება, წელიწადში (მთელ ოჯახს) პენსიად ენიშნება სრული ოც-და-ათი მანეთი.

(შემდეგი იქნება.)

*) იხ. „ივერია“ № 136.

ტფილისი, 3 ივლისს.

ბოლოს დროს სამოსწავლო უწყებაში შესაფერი ყურადღება მიექცია მოწაფეთა მოგზაურობას, რომელსაც დიადი გავლენა აქვს მათ საზოგადო განვითარებაზედ. მოგზაურობის დროს მოწაფენი იძენენ სხვა-და-სხვა ახალ შთაბეჭდილებას, ახალ ცნობას; მათის აზროვნობის სივრცე და სიძლიერე ერთი ორად მატულობს, ახლდებიან გონებით და სპეტაკდებიან ზნეობით; ერთი სიტყვით, მოგზაურობის მეოხებით მოწაფენი ბევრს რასმეს იძენენ, და ამას დიდი მნიშვნელობა აქვს მათის გონებისა და ზნეობის განვითარებისათვის...

ჩვენ აქ შევეხებით განსაკუთრებით ქართველ მოწაფეთა მოგზაურობას. ქართველი მოწაფე—შვილია ქართველის ერისა და ამის გამო მისს მოგზაურობას განსაკუთრებული ეროვნული ელფერი უნდა თანაუძღოდეს. დიდი და მიუტევებელი შეცდომა იქნება, რომ უარ-ვჰყოთ სარგებლობა ქართველ მოწაფის რუსეთსა და სხვა ქვეყნებში მოგზაურობისა, მაგრამ, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს ჩვენის სამშობლოს გაცნობის საქმესაც, მისის ავ-კარგის, მისის ისტორიულის ნაშთების შეგნებულ შესწავლას, მომავალ მოღვაწეთა მოწაფეობის დროსვე ხალხთან დაახლოვებას...

ჩვენშიაც შემოიღეს მოგზაურობა მოწაფეთა. თელავიდგან, მაგალითად, მოწაფეებს ალავერდს ან შუა-მთას წაიყვანებენ -ტფილისიდგან—მცხეთას, ქუთაისიდგან—გელათს და მოწამეთას და სხვ. ასეთს მოგზაურობასაც, რასაკვირველია, თავისი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ასეთს მოკლე მანძილზე მოგზაურობით ქართველი მოწაფე თვისს სამშობლოს მთელის მისის სივრცით ვერ გაიცნობს, ვერ შეისწავლის...

ქართველმა მოწაფემ საზაფხულო არდადეგების დროს უნდა გაიცნოს მთელი თვისი სამშობლო—საქართველო, რომ შეეძლოს თამამად სთქვას მგოსანთან ერთად:

> **„ქართლო-კახეთი, იმერეთი,**
> **გურია და სამეგრელო,**
> **ყველა ჩემი სამშობლოა,**
> **საყვარელო საქართველო!“**

დღეს საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის წარმომადგენელ ქართველთა შორის ერთობის შეგნება არაა განვითარებული... არც იმის თქმა შეგვიძლიან, რომ ეს შეგნება გრძნობის სახით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს მკვიდრთა შორის არ იყოს. იგი, ეს სასიქადულო გრძნობა ერთობისა, რომელიც საკეთილო გარემოებათა გამო მტკიცე შეგნებად გარდიქცევა, თავს იჩენს ხოლმე ქართველთა საერთო სიხარულისა და მწუხარების დროს... მერე-კი ისევ მიიჩქმალება და ოდნავ ბჟუტავს პროვინციულის ცხოვრების თავისებურობისა და მოთხოვნილებათაგან დაჩაგრული... პროვინციულის პატრიოტობის მიზეზით ადგილმდებარეობის სახელიდგან წარმომდგარს სახელწოდებას (იმერელი — იმერეთიდგან,—მეგრელი—სამეგრელოდგან, გურული – გურიიდგან და სხვ.) შეცდომით ამ ადგილში მცხოვრებთა სხვა-და-სხვაობის მაჩვენებლად სთვლიან... ესევე ითქმის ქართლელებისა და კახელების შესახებ... ჯერაც არ მოსპობილა ჩვენში დამღუპველი შენიან-ჩემიანობა, რაც ძლიერ აფერხებს ქართველ ერის ჯეროვანად განვითარების საქმეს.

თავი ვანებოთ ამ ისტორიულს შეცდომას მგოსანთან ერთად:

> **„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი,**
> **ჩვენ უნდა ვქმნათ ახლა სხვა ვარსკვლავს,**
> **ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მეოობადი,**
> **ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს!“**

მართლაც, ამ მომავალის სახელითა და იმედით ფრიად საჭიროდ მიგვაჩნია ქართველ მოწაფეთა მოგზაურობა არდადეგების დროს მთელს ისტორიულს საქართველოში... ქართლ-კახელ მოწაფეებს ეს მოგზაურობა შეუძლიანთ დაიწყონ თვისის სამშობლოს სხვა-და-სხვა კუთხეში მიმოსვლით. შემდეგ შეუძლიანთ გადავიდნენ ან სურამის ან ჰერათხევის გზით იმერეთში (გურია-სამეგრელო და საკუთარი იმერეთი). ერთს ზაფხულს თუ ვერ მოასწრებენ მთელ საქართველოს მოვლას, ორ-სამს, ოთხს ზაფხულს იყოს, არა უშავს-რა... სიარული უფრო ხელ-საყრელი და სასარგებლოა ჯგუფ-ჯგუფად... თითო ჯგუფი შეიძლება სამიდგან ათ მოწაფემდის შესდგებოდეს...

ეჭვი არაა, რომ ასეთის მოგზაურობის მეოხებით ამერ-იმერნი, ვითარცა ძენი ერთის დედისა, ერთმანეთს უფრო დაახლოებით გაიცნობენ და ერთობის მტკიცე შეგნებით გაიმსჭვალებიან... მოგზაურებმა არ უნდა დაივიწყონ, რასაკვირველია, ისტორიული საქართველოს ნაწილი—გამაჰმადიანებული საქართველოც, შავ-ბედის მეოხებით საქართველოს მშობლიურ დედის ძუძუს მოწყვეტილი... ამ მხარეში რომ ხშირად მოგზაურობდნენ ქართველები, განსაკუთრებით სამკურნალო ცოდნით აღჭურვილი ქართველი სტუდენტები და გზა და გზა უსასყიდლო შემწეობას აძლევდნენ ჩვენს თანა ერთხორც მოძმე ქართველ მაჰმადიანებს, ამის მეოხებით ეს უკანასკნელნი ქართველებისკენ დაიწყებენ ცქერას და სტამბოლისკენ ლტოლვას თავს მიანებებენ...

ამ წერილში გამოვთქვით მხოლოდ ჩვენი გულითადი სურვილი ფრიად სასარგებლო საკითხის გამო ყოველთა საცოდნელად. თუმცა სურვილსა და საქმეს შორის დიდი საზღვარია, მაგრამ ხშირად სურვილიც საქმის სათავეა, მისი დასაწყისია...

უახლოესი საბაბი ამ წერილის დასაწერად მოგვცა ტფილისის სათავად აზნაურო სკოლის სამის მოწაფის: გაბაშვილის, ჯავახიშვილის და აბდუშელის კახეთში მოგზაურობამ, რომლის შესახებ ჩვენის გაზეთის ამ წლის მე-133 ნომერში იყო მოთავსებული ცნობა შუა-მთის მონასტრის მღვდელ-მონაზონის ტარასისა... ამ სამის ქართველ მოწაფის მოგზაურობამ დაგვასკვნევინა, რომ ჩვენს მოწაფეთა შორის სამშობლოს შესასწავლად მოგზაურობის სურვილს უკვე გაუღვიძნია.

ღმერთმა ჰქმნას!

ტფილისი

✦ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. დ. ზ. მელიქიშვილი ტფილისში ხვალ ჩამოვა პეტერბურგიდგან.

✦ ტფილისის მთავარ-მართებლის კანცელარიას ოფიციალურად ატყობინებენ პეტერბურგიდგან, რომ ტფილისის სახაზინო თეატრის ამ წლის ზარალი 69 ათასი მან. ფინანსთა სამინისტრომ შეიწყნარა და იკისრა გარდახდა.

✦ სიონის ტაძრის ეზოში, როგორც ვიცით, დაჰქციეს მტკვრის პირად ჩვეულებრივ ძველი სახლი, აშენებული ტფილელ მიტროპოლიტის მიერ მე-18 საუკუნეში და ახალს აშენებენ. ძველის სახლის ერთს კედელში აღმოჩნდა პატარა ოთ-ჩიტიანი ქვევრი, სავსე წითელის ღვინითა და სარქველ დახურული. ღვინო ნახეს გემოთი და არაფერი უშავდა-რა თურმე, კარგად შენახულიყო. კალატოზებსა და მუშებს წაუღიათ ეს ღვინო, აგრეთვე შევრს სხვასაც. 140 წლისა ყოფილა, მაშ, დაახლო-

...ებით ეს ღვინო, რადგან სახლი აუგიათ დაახლოვებით 1760 წ.წ.

✦ სახელოსნო გამგეობა გადავიდა ბარონის ქუჩიდან ეგზარხოსის მოედანზედ ბენკ-ლინცის სახლში.

✦ სერობინსკს ებრძანა, რომ გადასცეს ყოველივე საქმე, ფული და ქონება ხელოსანთა ჰამქრებისა ახლად არჩეულს ხელოსანთა მოურავს ბ-ნს რაფაელოვს.

✦ კოტე კალატოზიშვილის თხოვნა, რომ ნება მიეცეს ავტომობილებით ჰზიდოს ბარგი და საქონელი ტფილისის ვაგზლიდან ქალაქში და ქალაქიდან ვაგზალზედ, ბ-ნს გუბერნატორს გადაუცია ტფილისის ქალაქის გამგეობისათვის.

✦ ხელოსანთა ახალს მოურავს ბ-ნს რაფაელოვს აზრად აქვს დააარსოს ხელოსანთათვის სამკურნალო და სამადლო სახლი. ეს აზრი წინადვე გაუზიარებია რაფაელოვს ხელოსანთათვის, რომელთაც თანაგრძნობით მიუღიათ და 500 მან. შეუგროვებიათ. თ. არ. ბებუთაშვილს შეუწირავს 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა არსენალის ახლო. ამ ჟამად რაფაელოვს უნდა ეს საგანი განიხილოს თვით ხელოსანთა კრებამ და დაადგინოს გადადებულ იქმნას ხოლმე სამკურნალოსა და სამადლო სახლის ასაგებად საჭირო ფული ხელოსანთა საზოგადოების შეძლებიდგან.

✦ სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველი ტერმენიანი ატყობინებს ტფილისის ქალაქის გამგეობას: შარშან, წლის დამდეგს ნაძალადევსა და ავჭალის გორის შესაერთებლად გაკეთდა ხიდი; ეს ერთად-ერთი ხიდი ამ მიდამოში ს. ბაზაზიანცის, იოფანის და აგრეთვე შახვეღდიანცის აგურხანის მეწყლეულთა წყალობით თითქმის გაფუჭდა და მასზედ მიმოსვლა სახიფათოა. ამიტომ ტერმენიანი სთხოვს ქალაქის გამგეობას ძალა დაატანოს ზემოდ აღნიშნულ აგურხანების პატრონთ შეაკეთონ ხიდი; თუ უარი განაცხადონ, გთხოვთ სამართალში მისცეთო.

✦ ტაგანროგის ასაფეთქებელ მასალათა საზოგადოების „პრომეთეის“ მმართველობა სთხოვს ქალაქის გამგეობას ადგილი რამ მისცეს იჯარით 9 წლის ვადით განყოფილების გასახსნელად ტფილისში.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერს საგუბერნიო მმართველობიდამ მოუვიდა ქაღალდი, რაც შეიძლება მალე შეატყობინე ტფილისის საკანცელარიო დეპარტამენტს, რა სახელმწიფო შენობანია შინაგან საქმეთა სამინისტროსი ტფილისის გუბერნიაშიო; თუ ესეთი შენობანი მოიპოვება, აღნიშნეთ, ვის ეკუთვნის, ან რომელ დაწესებულებას, როდიდგან და რა ფასად; ან სცხოვრობს ვინმე ამ შენობებში პოლიციელი მოხელე; თუ სცხოვრობს, რა სახელით და რამდენი აქვს დანიშნული სახლის ქირადაო.

✦ ორის დღის წინად, მუშტაიდის ბაღში, ქალაქის მეათე უბნის ბოქაულმა აკოფოვმა შენიშნა მოარნეთა შორის გ. ამილახვარი, რომელიც პოლიციელთა დახმარებით წარუდგინა ტფილისის პოლიცმეისტერს. გ. ამილახვარს ციმბირში გადასახლება ჰქონია დაწყვეტილი. ექვსის თვით დაუთხოვნიათ და აგერ აქეთ ორი წელიწადია და აღარ დაბრუნებულა. ბ-ნ. ამილახვარს ციმბირში ეტაპით აგზავნიან.

—

შეცდომის გასწორება: „ივერიის“ გუშინდელს ნომერში შეცდომით დაბეჭდილია ბ-ნ ნესტორ წერეთლის წერილში: „1895 წელს დაარსდა **ბათუმში** აბრეშუმეთა ამხანაგობაო“. უნდა იყოს: **ს. გუბ-ში** და სხვ.

ჩვენებური ამბები

რკინის გზის სად. ახალ-სენაკიდგან გვატყობინებენ, რომ იქ 29 ივნისს, სადგურის ბაქანზე ჟანდარმებსა და ზოგიერთ მგზავრთა შორის მოხდა უსიამოვნება. მე-15 ნომრის მატარებლის მოსვლის დროს მგზავრი დ. ხმაურობდა და უწესოდ იქცეოდა. ამ დროს მისულა ჟანდარმი და უთხოვნია დაწყნარება, მაგრამ შელაპარაკებიან ერთმანეთს და ვიღაცას ჟანდარმისათვის დაუკრავს. ამაზე ჟანდარმს ხმალი ამოუღია, რომელიც მგზავრებს წაურთმევიათ. ამხანაგს მიეშველებია მეორე ჟანდარმი, რომლისათვისაც უცემიათ და ქვებიც ესროლიათ. ორივე ჟანდარმი ძალიან არიან ნაცემი. პირველ ჟანდარმისათვის ქვით სახე გაუტეხიათ („ცნ. ფ.“).

—

ქუთაისი. საბჭოს თავმჯდომარედ იმ შემთხვევისათვის, როცა ქალაქის მოურავს თავმჯდომარეობა არ შეუძლიან, არჩეულ იქმნა ა. ფიფინაშვილი. თვით ქალაქის მოურავი, გამგეობის ერთი წევრი და მდივანი საბჭოსი ხვალ, 1 ივლისს, უნდა აირჩიონ.

—

თელავი. პურის ნიხრი ისევ ძველებური არის. ხორცის ფასი დაწესდა პირველის ხარისხისათვის 8 კაპ., მეორისათვის—7 კაპ., ღორისა—10 კაპ., ცხვრისა 8 კაპ., ხბოსი—10 კაპ.

—

სენაკი. პარკის ვაჭრობის მოახლოებამ [illegible] შესამჩნევი მოძრაობა ცხოველება, როგორც ახალს, ისე ძველს სენაკშიაც. ათას ჯურა უცხოელი მოვაჭრე მოაწყდა ამ დაბებს პარკის საყიდლად. ასე გასინჯეთ, ადგილობრივი მიკიტნები და ხარაზებიც-კი პარკის მყიდველებად გადაიქცნენ. უცხოელების ფულის საშუალებით: ყველა უცხოელი ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი აგენტი გაეჩინა ადგილობრივ ხელოსანთა და მოვაჭრეთა შორის და ამისათვის მრუდს და მართალს ურიგებდნენ ფულს პარკის საყიდლად. ამგვარმა მეტოქეობამ რჩეული პარკის ფასი პირველ ხანებში 17 მანეთამდე ასწია. პარკის მაზანდის აწევის მიზეზად ის გარემოებაც უნდა ჩაითვალოს, რომ ვაჭრები არ ელოდნენ, თუ ამდენი პარკი შემოვიდოდა და ამისთვის ყველა (ცდილობდა დაეჩქარებინათ პარკის შეძენა, რომ ფარდულები ცარიელი არ დარჩენოდათ. აღმოჩნდა, რომ პარკი ძლიერ ბევრი მოსულიყო. თუმცა თესლი წინა წლებთან შედარებით ნაკლები იყო შეძენილი სოფლელებისაგან, მაგრამ სამაგიეროდ, ვისაც ყავდა აბრეშუმის ჭია, შესანიშნავი გამოსავალი მიიღო. ხშირად იყო მაგალითი 7 მისხალ გრენიდან $4\frac{1}{2}$ ფუთი პარკის გამოსავლისა; წინა წლებში-კი გამოსავალი 2 ფუთს არ გადასცილებია.

ძველი-სენაკის მეაბრეშუმეთა სამრეწველო ამხანაგობის გამგეობაც თავის პატარა თანხით, შეძლებისა და-გვარად კრიჭაში უდგა კერძო მოვაჭრეებს და, მანამ ღონე შერჩა, პარკის მაზანდა 16 მანეთზე დაიჭირა, როგორც ძველ სენაკში აგრეთვე ახალშიაც. ხოლო გაიგეს თუ არა ვაჭრებმა, ამხანაგობას საკენკი ელევაო, ერთბაშად შეჰკრეს პირი და პარკის მაზანდა 13 მანეთამდე დასცეს. უკანასკნელი 1000 მანეთი-ღა დარჩენოდა ამხანაგობას, 14 ივნისს პარასკევს, როდესაც გამგეობამ გაიგო, რომ ახალ-სენაკში პარკის ფასები დაეცაო. მაშინვე გაიგზავნა ძველსენაკიდგან ერთი წევრთაგანი, რომელიც შეეცადა პარკის მაზანდის აწევას და კიდევაც სულ 300 მანეთის პარკის ყიდვით იმდენი მოახერხა, რომ იმ დღეს სოფლებიდგან შემოტანილი ორას-სამასი ფუთი პარკის მაზანდა 15 მ. 20 კ. ასწია. ასევე მოიქცა ამხანაგობა კვირასაც, მაგრამ ახლა-კი, როდესაც ამხანაგობას უკანასკნელი ღონისძიება გამოელია, პარკის ფასები ისევ 13—14 მანეთამდე ჩამოვიდა. ორი ათას მანეთამდე კიდევ რომ მაინც ჰქონოდა ამხანაგობას, უეჭველია, პარკის მაზანდას ერთხანს მაინც დაიჭერდა 15 მანეთზე. გამგეობა ფიქრობდა, ერთი ათასი მანეთით ერთი თვის ვადით მაინც ძველი-სენაკის სააზნაურო სკოლის მასწავლებლებიდგან მოეცვალა ხელი. მასწავლებლებმაც აღუთქვეს ამხანაგობას ამგვარი დახმარება, რა-კი იმედი ჰქონდათ, სამ-სამის თვის ჯამაგირს ახლა ერთად ავიღებთ და, ჯამაგირებს გარდა, იქნება ჩვენც გვიწყალობონ რამე ისე, როგორც ქუთაისის სკოლის მასწავლებლებსაო, მაგრამ რადგან ამათ ეს იმედი გაუცრუვდათ, ამისათვის ვერც თავისი განზრახვა შეასრულეს,—სამართალი-კი მოითხოვდა, არც ეს მასწავლებლები დაეტოვებიათ უყურადღებოდ. მით უმეტეს, რომ ეს სამი წელიწადია, რაც ესენი შემცირებულის ჯამაგირებით მსახურებენ. თვითეულს 150 მანეთით ნაკლები ეძლევა, ვინემ მათ წინამოადგილეებს ეძლეოდათ. მასთან ისიცაა, რომ წინეთ ამ სკოლაში ექვსი კაცი მსახურებდა და ახლაკი მხოლოდ ოთხია. წელს მაინც ერთის მათგანის ავადმყოფობის გამო მთელი შრომა სამ კაცს აწვა იანვრიდგან ვიდრე წლის ბოლომდე.

მასწავლებლებს არა ერთხელ მიუმართავთ თხოვნით ამ სკოლის ქუთათურ სამზრუნველო კომიტეტისათვის, ჯამაგირების წინანდელ ნორმამდე აწევის შესახებ, მაგრამ რაღაც მიზეზით არც ერთ თხოვნაზე გადაჭრილი პასუხი არ მიუღიათ, რისთვისაც ისინი გულნატკენად ამბობენ: „საბუთიანი უარის ღირსნი მაინც გავეხადეთ და სხვას არას ვჩიოდითო, ზნეობრივად მაინც კმაყოფილნი ვიქნებოდითო“.

ეს ერთი კვირაა ახალ-სენაკი, საიარმარკო სამზადისს შეუდგა. სულ სამი-ოთხი წელიწადია, რაც აქ „იარმუკობა“ დაიწყეს „საპეტრე-პავლობოდ“, მაგრამ, როგორც შარშანდელმა წელმა დაგვარწმუნა, ამ იარმუკობას დიდი მომავალი მოელის. იარმუკობა ერთ კვირას გასტანს, 29 ამ თვიდგან დაწყებული. ამ ერთ კვირის განმავლობაში იმდენი ხალხი მიაწყდება ამ პატარა დაბას, რომ თავშესაფარის შოვაც-კი შეუძლებელი იქნება კაცისთვის, თუ მოწმენდილი ცის და მშრალი მიწის იმედი არ ვიქონიეთ. ამ მილეთის ხალხს, როგორც შარშან იყო, წელსაც აუარებელი სანოვაგე დასჭირდება, უეჭველია, და თუ, როგორც ისმის, ხალხი ადგილობრივის მიკიტნების ანაბარა დარჩა, შიმშილით ამოწყდება, წინა წლებში ამ შემთხვევისათვის სახელ-დახელო ფანჩატურებს აგებდნენ, სადაც სასადილოები იმართებოდა. წელს-კი, ამბობენ, რომ ამ გვარი სასადილოების გამართვის ნებას არ იძლევიან თანხმად ადგილობრივის მიკიტნების თხოვნისა, რომელთაც სურთ ხალხი თავის დუქნებში მოიმწყვდიონ. იმედია, ბატონი მაზრის უფროსი შესაფერს მსჯავრს დასდებს მიკიტნების თხოვნას და მით დაიხსნის ხალხს ამ ბატონების თვით-ნებობიდგან. მიუცილებლად საჭიროა, რომ სახელდახელო სასადილოების გახსნის ნება მიეცეს მსურველებს, მით უმეტეს, თუ ეს უკანასკნელნი ამ უფლების შესაძენად ხუთ-ხუთ თუმანს გადაიხდიან სასარგებლოდ ეკკლესიისა, რომელიც აგერ მეშვიდე წელიწადი გადის, რაც შენდება და ვერ აშენებულა-კი უფულობის მიზეზით. მართალია ამ უკანასკნელ თვეებში კვლავ გაიჩარხა ეკკლესიის შენების საქმე, ამშენებელ კომიტეტის ახალის თავმჯდომარის თ. ფარნაოზ მხეიძის მეოხებით, მაგრამ თუ ამგვარ შემთხვევითს შემოსავალს, როგორიც ზემოთ დავასახელე, გვერდი შეუარეს, მუშაობა კვალად შეფერხდება, რადგან თავ. მხეიძეს ვერვინ დაავალებს, რომ კიდევ აიღოს ქაღალდი და ქუჩა-ქუჩა იაროს შემოწირულების შესაკრებად. პატივცემული თავადისა იმისთვისაც მადლობელნი უნდა იყვნენ, რომ ამ სახით ერთხელ უკვე შეაგროვა მან ათას მანეთამდე, რამაც შეძლება მისცა კომიტეტს მუშაობის განგრძობისა.

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ახალი მაზრის უფროსი ბ. რეზანოვი ძლიერ გულმოდგინედ ეპყრობა მაზრის წარმატების საქმეს საზოგადოდ და კერძოდ-კი თავის სადგომ დაბისას. სულ ორი-სამი თვის მეტი არ არის, რაც ის დაინიშნა მაზრის უფროსად, მაგრამ ამ ცოტა ხნის განმავლობაში-კი იმდენად მიიქცია საზოგადოების ყურადღება, რომ ყოველს მის წინადადებას და რჩევას სიხარულით ასრულებენ. ასე გასინჯეთ, ახალი სისტემის ფარნებიც-კი დადგეს ახალ-სენაკში მისის წინადადებით. თვითოეული ფარანი 180 მანეთამდე დამჯდარა. ვუსურვებთ, რომ ყველა აზრები, რაც მისგან მაზრის გასაუმჯობესებლად გვსმენია, უთუოდ სისრულეში მოეყვანოს.

ახალ-სენაკის სტუმარი.

კავკასია

განჯის საგუბერნიო მმართველობის მოვაზირე სტატ. სოვ. ასანიძე დაინიშნა ნუხის მაზრის უფროსად.

—

პეტერბურგიდან სწერენ გაზეთ „კავკ.“-ს დეპეშით, რომ გამოცხადებულია გაძლიერდეს შტატი საბეითალო ზედამხედველობისა ამიერ-კავკასიაში.

—

გზათა ინჟინერი გაიდებუროვი დაინიშნა შავის-ზღვის პირის რკინის გზის სამუშაოთა წარმოების უფროსად.

—

იმ კომისიაში, რომელსაც მინდობილი აქვს გამოკვლევა და არჩევა შავი-ზღვის პირად რკინის გზის მიმართულებისა, დანიშნულ იქმნა აგრეთვე ინჟინერი სიპაილო.

რუსეთი

ქართველი მოსწავლე ახალგაზდობა.

ივნისის პირველ რიცხვებში რუსეთში ჩვენებურ მოსწავლეთა გუნდი მეტად მცირდება, ორიოდე კაცის გარდა, ყველანი სამშობლოში მიიჩქარიან. ეს გარემოება არც გასაკვირია: ამას ითხოვს თვით ბუნება, სამშობლოსადმი სიყვარული და სხვ. ეხლა ვიკითხოთ—გასამართლებელი არის ასეთი აღტაცებული მისწრაფება სამშობლოსაკენ და იქ ორიოდე თვის განმავლობაში დარჩენა, თუ არა? ასეთი კითხვა ზოგს გააკვირვებს, ზოგს ღიმილს მოჰგვრის და ზოგს, დარწმუნებული ვარ, ჩემ შესახებ არა სასარგებლო სიტყვას წარმოათქმევინებს, მაგრამ რა გაეწყობა,—სხვა-და-სხვა პირთა შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე ვერვინ აიშორებს, სანამ დედა-მიწა თავის ღერძს არ შეაჩერებს... ერთმა პატივცემულმა მოხუცმა ქართველმა, რომელსაც ქუთაისში ყველა იცნობს, ხუთი წლის წინედ სავსებით წარმოსთქვა შემდეგი სიტყვები: „ბატონო, ეს ჩვენი სტუდენტების საქმე დიდად მაკვირვებს! ზაფხულობით რომ ჩამოდიან რუსეთიდგან, აქ რას აკეთებენ? ჩემის აზრით, უმჯობესი იქმნება, იქ დარჩნენ და იმეცადინონ, გონება განივითარონ, თორემ აქ, ხომ ხედავთ, რას აკეთებენ! სამ-ოთხ თვეს ტყუილა-უბრალოდ ჰკარგავენ»!.. რასაკვირველია, მოხუცის ნათქვამში ეხლა დაწვრილებით არ მახსოვს, მაგრამ მისი სიტყვის დედა-აზრი ასეთი იყო. ერთი შეხედვით ქართველ სტუდენტის საზაფხულოდ დაბრუნება არავის არ უნდა უკვირდეს, მაგრამ ვინც ქართველ სტუდენტს საქმიანობას სთხოვს, სხვაფრივ ვერ შესძლებს სჯას. რას აკეთებს ჩვენში საზაფხულოდ ჩამოსული სტუდენტობა? თითო-ოროლას გარდა, სხვა არაფერს სასარგებლოს. ავიღებ ქუთაისში საზაფხულოდ ჩამობრძანებულ ახალგაზდებს. სად ჰხედავთ ამ ახალგაზდა სტუდენტებს? ქუთაისის „ბულვარში“, სხვა „კანდიტერის“ სილიარდის სათამაშო ოთახში, აქა-იქ სავაჭრო სადგომებზე და იმ სათამაშოებით აჭრელებულ დიდ ოთახში, რომელსაც სამართლიანად ეძახიან „კასრთობას“. უკანასკნელი დაწესებულება ქუთაისში არსებობს 1898 წლიდან და მართალი მოგახსენოთ, ქართველ ახალგაზრდობას საზოგადოდ და საზაფხულოდ ჩამობრძანებულ მოსწავლეთ, კერძოდ, დიდ სამსახურს უწევს. უმეტეს სასწავლებელში მოსწავლე ახალგაზრდამ სახლში რომ წიგნებზე არ „ისვენოს“, ქუთაისში „კასრთობის“ წყაროს ეწაფება და სხვაგან სხვას. ვერც გასაკვირებით, რადგან, ჩამოვა თუ არა ახალგაზრდა რუსეთიდგან, იმ წამსვე ძმა-კაცები უუბნებიან: „აბა, ერთი წამო „კასრთობაში“, ქალა ყველა იქ იყრის თავსო“. სიმართლეა უკანასკნელი სიტყვები, ყველა იქ იყრის თავს და ნარდ-ჭადრაკ-ბილიარდის თამაშის დროს 2 საათამდის (ღამისა) ნაზად ღიღინებენ:

> მიყვარს, მიყვარს ჩემი კლუბი—
> სამაისოდ შესამკობი,
> ნარდ-ჭადრაკით მუდამ სავსე
> მხიარული „კასრთობა“.
>
> —
>
> წინ-სვლას არ სჩანს, მთლად დავწუნდებით,
> ჭკვა-გონებას ჰქონჯავს თბი,
> ჩვენ სიცოცხლეს ყველგან ახლავს
> „სკუჩნაობა“ დასაგმობი.
> ამას ვმღერდით ყველა—სანამ
> არ გაგვიჩნდა „კასრთობა“...
>
> —
>
> აწ რა გვიჭირს, თუ შევატყეთ—
> გულს ედება ცუდად ობი,
> ან მოგვეზრდა ცოლი, შვილი
> და სიღედრი დასახრჩობი,
> ჩვენ იქ წავალთ, სად გვეგულვის
> ნარდი-ჭადრაკ „კასრთობა“...
>
> —
>
> სტუდენტმა თუ მასტოვა
> წრფელოვთის მთა-ჭალობი,
> და სურს ჩვენში გამოსძებნოს
> ძალა ვარდით შესამკობი,—
> ვინ მოუძღვნის ასეთ ძალას,
> თუ არ მარტო „კასრთობა“.
>
> —
>
> ვის რად უნდა ფურცლოს წიგნი,
> მარტო „სტოლზედ“ დასაწყობი?!...
> წიგნს თუ მტვერი მოვაშორეთ—
> არ მოელის მწვანე ობი,—
> ესეც კმარა... ჩვენ-კი ისევ
> ნარდი ჭადრაკ „კასრთობა“.
>
> —
>
> საზოგადო საქმე, კრება—
> და საკითხა გასაბჭობი,
> მოძმეთ ჭირი, ღარიბთ ვნება—
> სამუდამოდ მოსასპობი,
> მერმე... მერმე... ეხლა მარტო
> ნარდი-ჭადრაკ „კასრთობა“.
>
> —
>
> მიყვარს, მიყვარს ჩემი კლუბი,—
> სამაისოდ შესამკობი,
> ნარდ-ჭადრაკით მუდამ სავსე,
> მხიარული „კასრთობა“.

ასეთ სანეტარო ადგილს ყველა უნდა ეტრფოდეს... და ეტრფიან კიდეც, მაგრამ რა შედეგი აქვს ყოველსავე ამას? ესაჭიროება თუ არა ასეთი «კასრთობა» ჩვენს ისედაც უსაქმობის ზღვის ტალღებით გაგრილებულს გულს, აზროვნებას? განა „ბულვარში“ ყოველ დღე ოთხ-ხუთ საათის განმავლობაში წალმა-უკუღმა ტრიალი, მტვრის ყლაპვა, „ნარდი-ჭადრაკ“-„კასრთობა“ შველის რასმე ჩვენს მოთხოვნილებას? ყოველივე ეს რამდენად აუმჯობესებს ჩვენს გონებრივად განვითარებას და ამა თუ იმ საზოგადოებრივ კითხვის გამოკვლევას? მე დარწმუნებული ვარ, «კასრთობის» პატივცემულ დამაარსებელს სტუდენტებისათვის არ დაუფუძნებია მხიარული დაწესებულება, იმას მხედველობაში ჰყავდა ცნობილი წრე, რომელიც მხოლოდ „კასრთობაში“ პოულობს საქმიანობას. უკანასკნელთ ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, იამცა და ვარდი ჰფენიათ ფაიანსზედ! რაც შეეხება მოსწავლე ახალგაზრდობას, ვუსურვებ „კასრთობაში“, „ბულვარში“ ან სხვაგან ძვირფასი დრო არ დაეკარგოს.

არ იფიქროთ, მკითხველო, სხვა ქვეყნის სტუდენტებიც აგრე ატარებდნენ დროს. ისინი შრომობენ, იძენენ ცოდნას, ეწაფებიან საზოგადოებრივ მეცნიერებას, საკმაო ძალით აღჭურვილნი ჰკრებენ სხვა-და-სხვა საჭირო მასალას თავიანთ სამშობლოში; მოგზაურობენ სამეცნიერო აზრით ერთი კუთხიდგან მეორემდე, ეცნობიან დაახლოვებით სოფელს, მის ზნეს, ჩვეულებას, ხალხს—ერთი სიტყვით, იძენენ იმას, რაც მომავალში საფუძვლად უნდა დაედოს იმათ საზოგადო მოღვაწეობას. ჩვენებს ეს არ შეუძლიანთ? შეუძლიანთ, ბატონებო, შეუძლიანთ, მაგრამ შეძლებას მარტო რა ძალა აქვს, თუ სურვილი არ არის. ასეთი სურვილის უქონლობა-კი, ჯერ ერთი, ცოდვაა და მეორე—სირცხვილი. ამიტომაც დღევანდელ ახალგაზრდობაში ძალიან ძვირად ჰხედავთ მძლავრს, მომქმედს მოღვაწეს. სანამ ასპარეზზე გამოვიდოდნენ და სანამ თავისუფალი დრო და შეძლება აქვთ, რუსეთში თუ ჩვენში—არაფერს აკეთებენ; მერმე-კი... მერმე თქვენც კარგად ხედავთ, ჩემო მკითხველო, რის მაქნისებიც არიან ისინი. [illegible] იქნება უმრავლესობა. რამდენჯერ იყო ნათქვამი ჩვენს ჟურნალ-გაზეთებში, [illegible] ქართველი მოსწავლენი უთუოდ უნდა მოგზაურობდნენ და ცნობებს ჰკრებდნენ, მაგრამ ამის განხორციელება თურმე მეტად ძნელი ყოფილა ჩვენებისათვის. თუ ეს ძნელია, მაშინ, ჩვენის აზრით, უმჯობესია ქართველი სტუდენტი ზაფხულში რჩებოდეს რუსეთში (რასაკვირველია, უნივერსიტეტის ქალაქში) და ოთხის თვის თავისუფლებას მოანდომებდეს გონების განვითარებას, ხელს მოჰკიდებდეს საზოგადოებრივ მეცნიერების შესწავლას და იწვრთნებოდეს გონებრივ იარაღით. ამ გზით მოვლილი ქართველი სტუდენტი ბევრს მოიგებს: აშორდება უბრალო ხეტიალს, მისგან საზოგადოებას გამოუვა სასარგებლო წევრი. «სწავლა, სწავლა მსურს, თქვე დალოცვილნო, თქო მასწერეთ, ძმანო, იმათ, ვინც საზაფხულოდ გეპატიჟებიან; რასაც იქით და აქეთ მგზავრობაში ხარჯავთ, იმ ფულით ოთხის წლის განმავლობაში მდიდარ წიგნთ-საცავს შეიძენთ. თუ მეცადინეობა გსურთ, რუსეთში ზაფხულობით დარჩენას არ შეგეზარებათ, მოიგონებთ-რა მომავალს თქვენს საზოგადო ასპარეზზე დანიშნულებას. რაც უთუოდ დღეს უნდა გაკეთდეს, იმას ხვალ ვერ გააკეთებო», მერწმუნეთ.

მალაქია ბოლქვაძე.

უცხოეთი

საფრანგეთი. ამას წინად ჩვენ მოვიხსენიეთ, რომ არჩევნების დროს საფრანგეთის არისტოკრატ-ქალებმა დიდ-ძალი ფული შეკრიბეს სააგიტაციო აზრით. ამ ფულით თითქმის მარტო ნაციონალისტთა „საფრანგეთის სამშობლოს ლიგამ“ ისარგებლა. ეხლა ლიგის პრეზიდენტს ჟიულ ლემეტრს როიალისტთა და კლერიკალთა კავშირი ლიგისათვის საფრთხილოთ მიუჩნევია და სცდილობს თავიდგან მოიშოროს იგინი. როიალისტები დიდის უკმაყოფილებით გაიძახიან, რომ ლიგამ სასტიკად მოგვატყუაო. ორლეანის ჰერცოგის პოლიტიკო ბიურო „როიალისტ-ქალთა კომიტეტის“ სახელით შემდეგს აცხადებს ამ განხეთქილების შესახებ:

„პარიჟში და პროვინციებში მრავალი შეწირულობა გამოვიდა, როგორც კერძო, ისე კოლლექტიური, და ყველას აზრად ისა ჰქონდა, რომ შემოწირულება შეეკრიბა სასარგებლოდ იმ საპოლიტიკო დასებისა, რომელთაც შესაძლოდ მიაჩნდათ, რომ არც მონარქიულ მოძრაობას მიჰკედლებოდა და საფრანგეთის ნაციონალური და მორალური ინტერესები-კი დაეცვა. მრავალი როიალისტი შეაცდინა იმ კეთილშობილმა გრძნობებმა, რომლითაც გამსჭვალული იყო ზემოხსენებული მოწოდებანი და იმ პირთა სახელებმა, რომელნიც სანდო კაცებად იყვნენ ჩვენში ცნობილნი. ამისათვის ყველა, ვინც-კი მხურვალე მონაწილეობას იღებდა შემოწირულობათა შეკრებაში, დარწმუნებული იყო, რომ ამით თავის წმინდა მოვალეობას ასრულებდა. საჭიროდ მიგვაჩნია გავაფრთხილოთ ყველანი, რომ მომავალში მაინც აღარავინ მოჰყვეს მათს ხაფანგში.“

— პარიჟში შესდგა საზოგადოება, რომელსაც აზრად აქვს, რომ წვრილ-შვილით დატვირთულ შეუძლო ხალხისათვის რიგიანი სადგომები ააგოს.

ამ საზოგადოების ორგანიზაცია ისეთივეა, როგორიც სხვა სააქციონერო საამშენებლო საზოგადოებათა. ჰახევრობა ბინებისა მათ მიერ აშენებულ სახლებში უეჭველად იმ პირებს უნდა მიაქირაონ, რომელთაც ეყოლებათ არა ნაკლებ სამის შვილისა. აქციონერთა გამოანგარიშებით ასეთი ბინები 210 ფრანკად რომ გააქირაონ, 3% მოგება მაინც დარჩებათ. ახალი საზოგადოება სწორედ მისწრება იქნება პარიჟის ხელმოკლე მცხოვრებთათვის, რადგან სახლის პატრონნი ცუდის თვალით უყურებენ იმ მდგმურებს, რომელთაც დიდი ოჯახობა ჰყავთ; თუ ამასთანავე მობინადრე დაბალ წოდებისაცაა, უკმაყოფილება და შევიწროება ხომ ერთი-ორად მატულობს. ამ რამდენისამე თვის წინად ერთმა სახლის პატრონმა თავისი მდგმური დაითხოვა მხოლოდ იმ მიზეზის გამო, რომ უკანასკნელის ოჯახს ერთი ნორჩი წევრი კიდევ შეეძინა. მდგმური ისე გააბრაზა სახლის პატრონის უგულობამ და პირუტყვობამ, რომ ჰკრა ტყვია და იქვე გააგორა. სასამართლომ დამნაშავე სრულებით გაამართლა.

ავსტრია-უნგრეთი. კათოლიკეთა ეკკლესიას გადაუწყვეტია ცოტაოდენი ცვლილება მოახდინოს იმ საეკკლესიო კანონში, რომელიც შეეხება კათოლიკეთა და არა-კათოლიკეთა შეუღლებას. მართალია ასეთ ქორწინების ნებას წინადაც აძლევდა ეკკლესია, მაგრამ სამი პირობა უნდა ყოფილიყო დაცული: 1) შეუღლების მსურველი კათოლიკე ღებულობდა ვალს, რომ ყოველ ღონისძიებით ეცდებოდა მომავალ მეუღლის (არა-კათოლიკე სარწმუნოებისას) გაკათოლიკებას. 2) მათი შვილები კათოლიკებად უნდა აღზრდილიყვნენ...

ნენ და 3) შეუღლების შემდეგ მეორედ აღარ ესკვნათ ჯვირგვინი არა-კათოლიკე მღვდლის ხელით. 1868 წელს სამოქალაქო კანონმა დაარღვია ის კანონი, რომ ზემოხსენებულ შემთხვევებში ჯვრის წერის წესი უეჭველად კათოლიკე მღვდელს შეესრულებინა; რასაკვირველია, ყველა სიამოვნებით სარგებლობდა ასეთის შეღავათით და კათოლიკეთა ეკკლესიას აღარავითარ აღთქმა-პირობებს აღარ უდებდა. რადგან საქმე ასე დატრიალდა, კათოლიკეთა სამღვდელოებამ ისევ ის არჩია, რომ თვითვე დაეთმო ზოგიერთი თავისი უფლებანი; ამისათვის ეპისკოპოსთა კრებულმა ახალი ინსტრუქცია დაუგზავნა მღვდლებს. ამ ინსტრუქციის ძალით, თუ შეუღლების მსურველნი არ დაემორჩილებიან კათოლიკეთა ეკკლესიის სავალდებულო პირობებს, მღვდელს არ შეუძლია მათი ჯვრის წერა ეკკლესიაში მოახდინოს, მაგრამ ნება აქვს „ტრიდენტის კრებით“ ისარგებლოს და ჯვრის წერაში „პასსიური“ მონაწილეობა მიიღოს, ე. ი. მხოლოდ მოწმედ დაესწროს. როგორც ვიცით, „ტრიდენტის კრებამ“ დაადგინა, რომ ჯვრის წერა კანონიერად უნდა ჩაითვალოს, თუ სასიძო-საპატარძლომ შეუღლების სურვილი მღვდლისა და რამდენისამე მოწმის თანადასწრებით განაცხადეს. მაგრამ ჩვენ მეტად საეჭვოდ მიგვაჩნია, რომ ამ ხავსმოკიდებულმა დადგენილებამ დღეს რაიმე სასურველი ნაყოფი გამოიღოს კათოლიკეთა ეკკლესიისათვის. ვინც გულით და სულით კათოლიკეა, ის არც მიჰმართავს ამ ფორმალიზმს და ვისაც კათოლიკობა არა სწამს, მისათვის ან რა საჭიროა იგი!

ინგლისი. გაზეთები ირწმუნებიან, რომ, თანახმად ინგლის-იაპონიის ხელშეკრულობისა, ამ წლის დამლევს შორეულ აღმოსავლეთში მყოფი ინგლისის ფლოტი უნდა გააძლიერონ ორის კრეისერისა და რამდენისამე ნაღმიანის გემის მიმატებით. მას შემდეგ, რაც ინგლისი და იაპონია დაკავშირდნენ, იაპონელთა და ინგლისელ ზღვაოსანთა შორის ძმობრული განწყობილება დამყარდა. ვიცე-ადმირალი ბრიჯი და მისი შტაბი დიდის ამბით მიიღეს მიკადოს სასახლეში.

გერმანია. ამ დღეებში იმპერატორ ვილჰელმ II-მ კილში თავის იახტაზედ მიიღო პირმონტ მორგანი, ცნობილი ამერიკელი მილლიარდების პატრონი, რომელმაც უდიდესი „ხომალდთა ამხანაგობა“ (ტრესტი) შეადგინა.

— ბავარიაში დიდი ხანია განხეთქილება ჩამოვარდა საერო განათლების მინისტრ ლანდმანსა და ბავარიის უნივერსიტეტის პროფესორთა შორის. მინისტრი საერო განათლების ხარჯებს, მომატების მაგივრად, თანდათან უკლებდა; ამას წინადაც უარი ჰყო მიუნჰენის უნივერსიტეტის შუამდგომლობა ახალ სატეხნიკო სკოლის დაარსების შესახებ. იგი ყოველის ღონისძიებით სცდილობდა, რომ აბუჩად აეგდო და დაეჩაგრა უმაღლეს სასწავლებელთა უფროსნი. პროფესორები დიდ ხანს ითმენდნენ, მაგრამ მინისტრის უკანასკნელმა საქციელმა, ვიურცბურგის უნივერსიტეტის საქმის გამო, ყველანი მეტად აალელვა და ვიურცბურგის უნივერსიტეტის სულ ყველა პროფესორებმა სამსახურს თავი დაანებეს.

როგორც გერმანული გაზეთები გადმოგვცემენ, მინისტრებს მთელი ორი საათი ჰქონიათ ბჭობა-თათბირი ამ განხეთქილების გამო მიუნჰენში.

სტამბოლი. ამ უკანასკნელ დღეებში ოთხი კაცი მომკვდარა შავის ჭირით.

სამხრეთ-აფრიკა. ბოტა, დევეტი და დელარეი დურბანიდგან გერმანულ გემით ევროპაში გაემგზავრნენ.

სხვა-და-სხვა წერილები

საყმაწვილო წიგნების გამოცემის შესახებ.

მოეხსენება მკითხველებს, რომ პატივცემულმა ა. ნათაძემ ჩვენს ქართულ ჟურნალ-გაზეთებში დასტამბა თავის წერილი, რომლითაც მასწავლებლებს და მშობლებს მიჰმართა, რათა მათ თავიანთი აზრი და შეხედულება გაუზიარონ საყმაწვილო წიგნების გამოცემის შესახებ; მეც, თქვენი უმორჩილესი მონა, ვასრულებ ბ-ნ ნათაძის სურვილს. აქვე მომყავს ჩემი პასუხები მის მიერ დადგენილ კითხვების შესახებ.

კითხვა: „ბავშვებს მივცეთ თუ არა წასაკითხად განგებ მათთვის დაწერილი წიგნები?“

პასუხი: შეიძლება მივცეთ, მხოლოდ წიგნების მიცემის დროს მხედველობაში უნდა მივიღოთ ბავშვის წლოვანება და განვითარება, თუ რომელ ბავშვს როგორი საყმაწვილო წიგნი მივცეთ, რომ მას არ გაუძნელდეს წიგნის წაკითხვა და მისი შინაარსის ან დედააზრის გადმოცემა; მასთან არც ის იქნება ურიგო, რომ თანდათანობის სისტემაც დავიცვათ: პირველად წავაკითხოთ ადვილად გასაგები წიგნები და მერე და მერე ძნელებიც, როგორც ამას მოითხოვს პედაგოგიური მეცნიერება.

კითხვა: „რა შინაარსის წიგნს უფრო ელტვის ბავშვი და რა მიზეზია ბავშვის რომელიმე წიგნით გატაცება? რა შთაბეჭდილებას ახდენს თქვენ ბავშვებზედ ნაწარმოები ჩვენი ნიჭიერი და გონიერი პოეტებისა?“

პასუხი: ბავშვის ბუნება და მიმართულება ბევრნაირია და არა ერთნაირი; ზოგს მოსწონს აღწერილობა რომელიმე ქალაქისა, სოფლისა, ქვეყნისა, საბუნებისმეტყველო საგნებისა და სხვა; ზოგს-კი ისეთი შინაარსის წიგნები მოსწონს, რომელშიაც რამდენიმე მომქმედი პირი ერთი მეორეს ებაასებიან და ეკამათებიან, ან მეტოქეობას უწევენ... რომელიმე წიგნით გატაცება ბავშვისა, ჩემის ფიქრით, ის მიზეზი უნდა იყოს, რომ პატარა ბავშვი, რასაც ხედავს და თვალითაც ამჩნევს სიპატარავიდგანვე, იმის წაკითხვა უფრო ადვილდება და მოზრდილი ყმაწვილები-კი, პირიქით, იმას ეტანებიან, რაც ჯერ არ უნახავსთ და არ გაუგონიათ. სამწუხაროდ, ჩვენს ნიჭიერს მგოსნებს და მწერლებს ჯერ ცოტა ნაწარმოები აქვსთ საყმაწვილო დარგისა, თორემ რაც-კი დაწერილა, მართლაც მეტად კარგს შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველს მოზარდებზედ.

კითხვა: „ჩვენს რომელს მწერალს მოუხდენია უფრო დიდი შთაბეჭდილება ბავშვებზე?“

პასუხი: ყველას ძალიან და, განსაკუთრებით-კი, სახელოვან აკაკის, დუტუ მეგრელს, შიო მღვიმელს, ცნობილ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს, თომაშვილს და ევდოშვილს.

კითხვა: „უცხო მწერლებთა შორის რომელი მწერალი უფრო მოსწონთ თქვენ ბავშვებს?“

პასუხი: აქ ჩვენა გვყავს სახეში ის ბავშვები, რომელნიც კერძოდ ოჯახებში და დაბალ დასაწყისს სკოლებში სწავლობენ. მაშასადამე, ჩვენს ბავშვებს უცხო მწერლების ნაწერები არა აქვთ წაკითხული და გაცნობილი, რომ მათ დაფასება შეეძლოთ — რაა მოსაწონი ანუ დასაწუნი.

კითხვა: „ვისი ნაწარმოები უფრო მოსწონთ ბავშვებს ქალებისა თუ ვაჟებისა და რისთვის?“

პასუხი: როდესაც კარგი ნაწარმოებია, ბავშვებს ორივეს ნაწერები მოსწონთ, გინდ ქალის იყოს და გინდ ვაჟის, და როცა შეუფერებელი და ცუდი ნაწარმოებია, ორივე სქესის ნაწერებს დაიწუნებენ; ეს ცხადია როგორც ბავშვებისთვისაც, ისე მოზრდილებისთვის. მაშასადამე, ბავშვები დიდ ყურადღებას არ აქცევენ — წიგნის ავტორი ქალია, თუ ვაჟი, ოღონდ წიგნი იყოს მათდა შესაფერისად შედგენილი.

კითხვა: „უყვართ თუ არა თქვენ ბავშვებს სამეცნიერო წიგნების კითხვა და ამ ნაწილში რას უფრო აქცევენ ყურადღებას?“

პასუხი: ბავშვებს იშვიათად უყვარსთ სამეცნიერო წიგნების კითხვა, რადგანაც მათთვის ადვილად მოსაწყენია და ვისაც-კი უყვარსთ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ბუნების მოვლენას და ბუნების მეტყველებას.

კითხვა: „რა გავლენა აქვსთ თქვენს ბავშვებზედ ზღაპრებს და რა შინაარსის ზღაპარი უფრო მოსწონთ?“

პასუხი: ზღაპრებს ის გავლენა აქვსთ ბავშვებზედ, რომ იგინი მათ უღვიძებენ ცნობისმოყვარეობას, აყვარებენ და აჩვევენ ბავშვებს წიგნების კითხვას, რაც უმთავრესია მათთვის. ბავშვებს უფრო მოსწონთ ის ზღაპრები, რომელშიაც მომქმედად დახატულ არიან გმირი, ცხრა-თავიანი მდევი, ქაჯი, ჰინკა, ეშმაკი, ლომი, კურდღელი, მელია და თაგვი.

კითხვა: „სჯერათ თუ არა ბავშვებს ყველა ის, რაც ზღაპრებშია წარმოდგენილი და ნაჩვენები?“

პასუხი: სჯერათ უფრო მცირე წლოვან ბავშვებს (5—10 წლამდის) და მოზრდილებს-კი სრულებითაც არა სჯერათ.

კითხვა: „რა შთაბეჭდილებას ახდენს ბავშვებზედ ზღაპრის მომქმედი ცხოველები: მელა, დათვი, მგელი, კურდღელი, თაგვი, ტურა და სხვ.? რომელს მათგანს უფრო თანაუგრძნობენ და ნდომულობენ იმის გამარჯვებას?“

პასუხი: კარგ შთაბეჭდილებას ახდენენ ყველა ეს ცხოველები და განსაკუთრებით-კი მელა, კურდღელი და თაგვი, რადგანაც უფრო ხშირათ ხვდებათ ბავშვებს მოთხრობებში მათზედ ლაპარაკი და ამიტომაც ამ ცხოველებს უფრო თანაუგრძნობენ და ნდომობენ მათ გამარჯვებას.

კითხვა: „რა აზრისანი ხართ იმ ზღაპრების შესახებ, სადაც მომქმედად გამოყვანილნი არიან ცხრა-თავიანი მდევი, ალი (ჰინკა), ეშმაკი, ქაჯი და სხვა-და-სხვა წარმოდგენილობითი არსებანი? ესენი აშინებენ თუ არა ბავშვებს და თუ აშინებენ, რაში გამოიხატება ეს შიში? უამზღაპროთ ბავშვი წინად არ იყო დაშინებული?“.

პასუხი: ამ დარგის ზღაპრები ბავშვებს უკარგავს გულის სიმაგრეს, გულადობას, ჰგვრის შიშს, რომელსაც ცუდი გავლენა უნდა ჰქონდეს ბავშვის ნორჩ ჭკუა-გონებაზედ, რასაკვირველია, ესაც არ შეიძლება, რომ ყველა ბავშვებზედ ასე ცუდად მოქმედებდეს; დამოკიდებულია ბავშვის ბუნებაზედაც.

შიში გამოიხატება იმითი, რომ როდესაც ასეთ ზღაპრებს მოუყვებით, ან თითონ წააკითხებთ ბავშვებს, რამდენსამე ღამეს მათ მოსვენებით არ სძინავთ, ძილი უფრთხებათ ხშირად ძილშიაც ჰკრთიან. ამასთანავე როდესაც ჰღვიძავთ, მაშინაც ელანდებათ, განსაკუთრებით ღამე სახლიდგან გარეთ გასვლისა ეშინიათ და სხვა. ერთის მხრივ ასეთი ზღაპრები ბავშვებისათვის მავნებლად უნდა ჩაითვალოს, მეორეს მხრივ ნუ დავივიწყებთ იმასაც, რომ იმავე დროს ამ ზღაპრების გმირები ბევრს საგულისხმიერო მასალას გვაძლევენ საბაასოდ.

კითხვა: „ხალხის რომელ ნაწარმოებს უფრო აქცევს ბავშვი ყურადღებას? რომლის გაგონება უფრო ახალისებს და წარმოდგენილობითი ნიჭის განვითარებაში შველის?“

პასუხი: ბავშვი უფრო აქცევს ყურადღებას ლექსებს და ისეთ ნაწარმოებსაც, რომელიც ძალიან მოკლეთ არის შედგენილი, დაწერილია ბავშვურ, მდაბიურ ენაზედ და მასთან თვითოეულ მოთხრობას აქვს თავის შესაფერი ნახატები. ასეთი ნაწარმოები კიდეც ახალისებს და კიდეც ავარჯიშებს ბავშვის ჭკუა-გონებას.

კითხვა: „ისტორიული მოთხრობები, ამბები, ლეგენდები და სხ. იზიდავენ ბავშვის ყურადღებას თუ არა? ისტორიული რა უფრო მოსწონთ ბავშვებს?“

პასუხი: ძალიან იზიდავენ ბავშვების ყურადღებას განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თვითოეული დედა-აზრი ისტორიული მოთხრობისა ანუ ლეგენდისა ცალკ-ცალკე მუხლად არის დაყოფილი და მასთან მოთხრობების თვითოეული გმირიც თავ-თავის შესაფერ ადგილზედ არის დახატული. საზოგადოდ, ნახატებიანი წიგნები ძალიან მოსწონთ ბავშვებს.

მასწავლებელი ბ. ვაზაძე.

თეატრი და ხელოვნება

დ. ზესტაფონიდგან გვწერენ, რომ იქ, კვირას, 23 ივნისს, ქუთათურ სცენის მოყვარეთ წარმოუდგენიათ „და-ძმა“.

—

სად. გომი (გორის მაზრა). 29 თიბათვეს გომის სადგურზე გორის მემამულეთა ამხანაგობის დარბაზში ჩვენის დაულალავის და საზოგადო მოღვაწის კნეინა მაკინე ამირაჯიბის მეთაურობით გამართულ იქმნა საცეკვაო საღამო გორის დედათა პროგიმნაზიის და სტუდენტის მ. ყიფიანის სასარგებლოდ. მცენარეებით კოპწიად მორთულ დარბაზში შეიკრიბა დიდძალი ხალხი მახლობელ სოფლებიდგან და სადგურებიდგან. სწორედ შვიდ საათზედ გაიმართა ევროპიული ცეკვა და ლეკური, რომელმაც დიდის მხიარულებით გასტანა დილის ხუთ საათამდის. გარდა სამხედრო მუსიკისა, რომელიც სურამიდგან იყო მოწვეული, უკრავდა აგრეთვე საზანდარი და დუდუკი. საღამოს გამგემ კნეინა მაკინე ამირაჯიბისამ თავისის ხელოვნურად დაირის დაკვრით და მოხდენილის ტკბილის ხმით ბაიათების სიმღერით დამსწრე საზოგადოება მეტად ასიამოვნა. საღამოს შემოსავალი, ხარჯს გარეშე, 600—700 მანეთს აღემატება. დიდის მადლობის ღირსია კნ. მაკინე ამირაჯიბისა, რომელიც ყოველ წლობით ჰმართავს საქველ-მოქმედო აზრით საღამოებს. მიუხედავად ბევრ გვარ დაბრკოლებისა, ეს საღამოები და ყოველთვის დიდ-ძალ ხალხს იზიდავს და კარგს შემოსავალსაც იძლევა.

—

დ. სურამი (გორის მაზრა). 30 წარსულ თიბათვეს დაბა სურამში ძმ. ლოტოიანცების პარკში გაიმართა ბ-ნ ალ. ი. ნათაძის გამგებლობით ადგილობრივის სამკითხველოს სასარგებლოდ საღამო, რომელზედაც წარმოდგენილ იქმნა ერთ-მოქმედებიანი ვოდევილები: „არც აქეთ და არც იქით“, ვ. გუნიასი, „ჭკუისა მჭირს“, ა. ცაგარლისა და რუსულს ენაზე „საგრძნობელი სიტყვა“, ა. მანსფელდისა. წარმოდგენაში მონაწილეობას ღებულობდნენ მ. კილოსანიძე, ივ. მურმანიშვილი, მარო შალიბაშვილი, ნინა კლიმენტიევისა, აგრაფინა აბაზაძე, ვლ. სალარიძე, დ. ორჯონიკიძე, დ. სულიაშვილი და ბ-ნი ბებიაშვილი. ყველა მოხსენებულთ სცენის მოყვარულთ თავიანთი როლები შეგნებით და სვინიდისიერად შეესწავლათ, ასე რომ სამივე პიესის წარმოდგენამ სცენაზე შესაფერის სიცოცხლით ჩაიარა და დამსწრე საზოგადოებაც ბევრი აცინა. უმთავრესს როლებს მოხსენებულ ვოდევილებში ასრულებდნენ ბ-ნნი ივ. მურმანიშვილი და მ. კილოსანიძე. ბ-ნი ივ. მურმანიშვილი ცნობილია სურამის სცენაზე დახელოვნებულ კომიკად და, რასაკვირველია, მან წელსაც ჩვეულებრივის კომიზმით ჩაატარა პროვინციებში მოხეტიალე, სიმშილისაგან კუჭ-გამხმარი აქტიორის და აჭართა უსტაბაშის როლები. ბ-ნ მ. კილოსანიძეს, რომელიც რუსულს ვოდევილშიაც მონაწილეობას იღებდა, სურამის საზოგადოება პირველად ხედავს სცენაზე. სასიამოვნოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ მ. კილოსანიძემ ყველა მოხსენებულ პიესებში დიდი სასცენო ნიჭი და უნარი გამოიჩინა. დამსწრე საზოგადოება ისე გაიტაცა ბ-ნ კილოსანიძის ნიჭიერმა და მოფიქრებულმა თამაშმა, რომ ყველას უნებლიედ ავიწყდებოდა, სცენაზე ნამდვილი და დიდის ხნის გამოცდილებით აღჭურვილი არტისტი თამაშობს, თუ ვინმე პირველად სცენაზე გამოსული ხელოვნების მოყვარეო. მანსფელდის ვოდევილში ხელოვნებისადმი მოტრფიალე გიმნაზიელის ტიპი და „ჭკუისა მჭირს“-ში მოხუცი მოვახშე სომეხი, რომლის „მე“ ფულებს არ გასცილებია, ცხოვლად და სინამდვილით დაგვიხატა კილოსანიძემ.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ევროპიული ცეკვა-თამაში. საღამოს საკმაოდ დაესწრო ხალხი. ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ხარჯს გარეშე 130—150 მანეთამდე დარჩება. დიდის მადლობის ღირსნი არიან როგორც მოხსენებულნი სცენის მოყვარენი, აგრეთვე ყველანი ვინც-კი ამ საკეთილო საქმის სასარგებლოდ გამართულ საღამოს თავისის შრომითა და დახმარებით ხელი შეუწყო.

მომავალ კვირიდგან ბ-ნ აკოფიანცის და ჯანოიანცის ახლად აშენებულ თეატრში ბ-ნი ვ. გუნია იწყებს წარმოდგენების მართვას. ბ-ნი ვ. გუნია, როგორც, ჩვენ გადმოგვცეს, უკვე შეჰკვრია იჯარით ამ საზაფხულოდ თეატრის მეპატრონეებს. კვირას ბ-ნ ვ. გუნიას მიერ წარმოდგენილი იქმნება პიესა: „ძალა აღმართსა ჰხნავს“.

—

„По Грузіи“.

ამ სახელით გამოვიდა წარსულს ზამთარს მოსკოვში, პ. იურგენსონის გამოცემული, რვა სამუსიკო პიესა ფორტოპიანოსთვის (ერთ რვეულად) ქართულ მელოდიებზედ შეთხზული ცნობილის სასულიერო კომპოზიტორის ა. კასტალსკის მიერ. ავტორი თითონ არა ყოფილა საქართველოში, მაგრამ ბევრი გაუგონია, წაუკითხავს და შეჰყვარებია, და ახლა რომ რითმე გამოუცხადოს ჩვენს ქვეყანას თავისი სიყვარული, დასწერა რვა პიესა იპოლიტოვ-ივანოვის კრებულიდგან ამოკრეფილ ქართულ მელოდიებზედ.

თუმცა პიესებს ეტყობა ზოგიერთი ნაკლი, რომელიც, რასაკვირველია, იმისაგან წარმოსდგება, რომ ავტორს არ გაუცვნია ადგილობრივ ჩვენი ქვეყანა და ჩვენი მუსიკა, მაგრამ მაინც ძრიელ სასიამოვნო იყო ჩვენთვის მისის შრომის ხილვა და მოსმენა. დეე, ჰქონდეს ნაკლი, ყველა ახალ საქმეში ნაკლი აუცილებელია, საქმე ის არის, რომ ჩვენმა მუსიკამ მიიზიდა ყურადღება კომპოზიტორისა და დააინტერესა და ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ჩვენ ყოველთვის, ყველგან და ყოველის ღონისძიებით უნდა ხელს ვუწყობდეთ.

ბ-ნ ა. კასტალსკის კრებულის ყველა პიესას თავისი სახელი აქვს, მაგალითად: პირველს ჰქვიან „დღეობაზედ“, მეორეს—„მონასტერში“, მესამეს—„სვლა“, „მეოთხეს—აულში“ *) და "ბავშვები და მესტვირე", მეხუთეს—„მომღერალთა შორის“ და სხვ. ყველა პიესები ადვილი დასაკრავია, გარდა ლეკურისა. კრებული ღირს 1 მ. და 25 კ. ვურჩევთ იმ ოჯახებს, სადაც ფორტოპიანოს უკრავენ, შეიძინონ ამ პიესების კრებული.

დიმიტრი არაყიშვილი.

—

თიანეთი. ძლივს გველირსა თიანელებს წარმოდგენა. 24 თიბათვეს ითამაშეს ბიბლიოთეკის სასარგებლოდ ორ-მოქმედებიანი კომედია რ. ერისთავისა „ჯერ დაიხოცნენ, მერე იქორწინეს“. მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის ქართული თეატრის გამოჩენილი მსახიობნი: ბ.ბ. ვასო აბაშიძე, ბ. სვიმონიძე, ბ. დ. ახმეტელაშვილი, ქ.ქ. ტასო აბაშიძე და ქ. ე. ყაზახაშვილი. თუმცა პიესა იმდენად არაფერია და უმჯობესი იქნებოდა, რომ ამაზედ უკეთესი პიესა ამოერჩიათ, წარმოდგენამ ძალიან საუცხოვოდ ჩაიარა. ბ. ვ. აბაშიძემ, რომელიც ასრულებდა პარუნ ოსეფას როლს, ხალხი ძალიან ბევრი აცინა. ქ. ტ. აბაშიძის და სვიმონიძის ქება მეტ ლაპარაკად მიგვაჩნია, იმიტომ რომ იმათ ჩვენზედ კარგად იცნობს ქართული საზოგადოება. ქ. ე. ყაზახაშვილმა ძალიან კარგად შეასრულა ელისაბედის როლი. წარმოდგენის შემდეგ ქ. ტასო აბაშიძემ იმღერა „ვისურვებდი შენთან ერთად“ და შემდეგ ბ. ალ. მათურელის ლოტბარობით თიანეთის ახალგაზრდა ყმაწვილებისაგან შემდგარმა ხორომ სთქვა რამდენიმე სიმღერა. დიდი მადლობის ღირსია ბ. ა. მათურელი. ანტრაქტებზედ უკრავდა სამხედრო მუსიკა. მიუხედავად იმისა, რომ ფასები ადგილებისა ძალიან ძვირი იყო, წარმოდგენას ხალხი ბევრი დაესწრო და უფრო ბევრი ხალხი დააკლდა წარმოდგენას ადგილების უქონლობისა გამო. წარმოდგენის შემდეგ სკოლის დარბაზში გაიმართა ევროპიული ცეკვა, შემდეგ გაიშალა სუფრა, რომელიც გაუმართა თიანეთის საზოგადოებამ იმ პირთ, რომელნიც წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ. ვახშამმა ღამის 3 საათამდის გასტანა. ხარჯს გარდა, წმინდა შემოსავალი დარჩა 99 მან.

დიდის მადლობის ღირსია ექიმი ალ. ნ. დიასამიძე, რომლის მეთაურობითაც მოხერხდა წარმოდგენა. იმედი გვაქვს, შემდეგისთვისაც იზრუნებს წარმოდგენის გამართვის შესახებ, მით უმეტეს, რომ ბ. ვ. აბაშიძე და ბ. სვიმონიძე ვახშმის დროს დაჰპირდნენ საზოგადოებას ამ ზაფხულშივე ხელ ახლა გაგვიმართავთ წარმოდგენასაო.

საჭიროდ მიგვაჩნია, ორიოდე სიტყვა ვსთქვათ თიანეთის თეატრისა და საზოგადოების შესახებ. ოთახი, რომელშიაც მოთავსებულია სცენა, პატარაა და თიანელებს-კი ძალიან ბევრს აქვს თეატრში სიარულის სურვილი. თეატრში შესასვლელი ბილეთები ძალიან ძვირად იყიდებოდა და ამ ბილეთებსაც იტაცებდნენ იმისთანა პირნი, რომელნიც საავარაკოდ არიან მოსულნი.

დ. გოჯიაშვილი.

*) ეს, რასაკვირველია, ავტორის შეცდომაა, რადგან „აულები“ ჩვენში არ არის. იგივე უნდა ითქვას „მრავალ-ჟამიერის“ შესახებ (მეექვსე პიესა), მავისთანა ჰანგზედ ჩვენში არა მღერიან.

ნარკვევი

გაზ. „ცნ. ფურ.“-ის უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ფელეტონად ვრცელი წერილი თ. მ—ძისა ამ სათაურით: **„რკინის-გზის მთავარ-ლიანდაგის ქუთაისზედ გაყვანის პროექტების გამო.** ავტორი წერილისა გვიამბობს, როგორ ასცდა პირველად რკინის-გზის მთავარი ლიანდაგი ქუთაისს, რაიცა ასე საზარალოა ამ ქუთაისის გუბერნიის უმთავრეს ქალაქისათვის.

ფოთი-ტფილისის რკინის გზა, ამბობს ავტორი —თავდაპირველად დამტკიცებულის პროექტისამებრ, უნდა გაეყვანათ ფოთიდგან სენაკზე, ხონზე, ქუთაისზე და შემდეგ ს. სიმონეთიდგან მიეყვანათ ზესტაფონში, საიდგანაც გზას უნდა მიეღო ახლანდელი მიმართულება. განზრახული იყო ქუთაისში აეშენებინათ დეპოები და უმთავრესი სახელოსნოებიც. ეს პროექტი იმპერატორის ალექსანდრე მე-II-საგან უმაღლესად დამტკიცებულ იქმნა, რაიცა გახარებულ ქუთათურებს პირადად გამოუცხადა კავკასიის მაშინდელმა ნამესტნიკმა, დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის-ძემ ქუთაისში ყოფნის დროს *).

მაგრამ ქუთათურების და საზოგადოდ იმერეთის დიდი ნაწილის სიხარულს მალე მოუღო ბოლო მოულოდნელმა და წარმოუდგენელმა გარემოებამ... ქუთაისის ბედი შეშურდათ აჯამეთის ტყის (ქუთაისიდგან სამხრეთით 8 ვერსზე მდებარის) მაშინდელ პატრონებს თავადს მ—ს და ანანოვებს, რომელნიც ეზრახნენ გრაფს ლევაშოვს, ქუთაისის იმ დროინდელ ყოვლად შემძლე გუბერნატორს და... უმაღლესად დამტკიცებული პროექტი ინჟენერებმა, ვითომც და ხაზინის სარგებლობისათვის, შესცვალეს ისე, რომ ქუთაისს 7 ვერსით გაასცილეს რკინის გზა და მითი არსებითი ინტერესები როგორც ქუთაისისა, ისე მთელის მჭიდროდ დასახლებულის გუბერნიისა, მსხვერპლად შესწირეს კერძო მემამულეთა სარგებლობას...

ამ სახით, ქუთაისსაც ასცდა რკინის-გზის მთავარი ლიანდაგი და თვით გზაც მეტი დაჯდა, რადგან 76 ვერსის მაგიერ გზის მანძილმა მოიმატა 7 ვერსი. ამას გარდა, ქუთაისამდეც ცალკე შტო გაკეთდა, 7 ვერსის მანძილზედ.

ქუთაისს იმ დროს თვით-მმართველობა არ ჰქონდა მინიჭებული, ხოლო პოლიციასთან ერთად ქალაქის სვე-ბედის გამგე დეპუტატებმა ვერ გამოიჩინეს ქუთაისის ინტერესების დასაცველად გარემოების შესაფერი ფხა და ქუთაისი ემსხვერპლა აჯამეთის უღრანს ტყეს...

შემდეგ ხომ ნიაღვრებმა ორჯელ წაახდინა ლიანდაგი 1869 და 1895 წწ. და ამ გარემოებამ გამოიწვია კვლავ იმედი ქუთათურთა შორის, რომ თითქმის ახლად გასაკეთებელი ლიანდაგი სხვა მიმართულებას მიიღებდა და ქუთაისს არ ასცდებოდა.

მაშინ ქუთაისი შეინძრა და დაფაცურდა, როგორც ერთი კაცი. არავინ მოსწრებია ისეთს ერთსულობას ქუთათურებისას, როგორც იმ დროს იყვნენ ისინი დიდიდან პატარებამდე გატაცებულნი. „რკინის გზის მთავარი ლიანდაგი ქუთაისში“ — ფხიზლობაში ენაზე ეკერათ და ძილში სიზმრად ჰქონდათ გადაქცეული, ხოლო ენა და სიზმარი აუცილებელი ნართი იყო გაფაციცებული საქმიანობისა, რომლის მაგალითს, ჩვეულების წინააღმდეგ, იძლეოდა მაშინდელი საბჭო და გამგეობა.

ეს იმედი გამტყუნდა. ახლა, როცა მთავრობა ჰფიქრობს მეორე მთავარ ლიანდაგის გაყვანას ხაშურიდან ბათუმამდე, ქუთათურნი კვლავ სცდილობენ, რომ მათი და მთელის დასავლეთ-საქართველოს ნატვრა ახლა მაინც შესრულდეს.

*) [illegible]

ავტორი ასე ათავებს თავის წერილს:

ქუთაისსა და ნამეტურ მისს თვით-მმართველობას ახლა ჰმართებს მთელის თავისის სიმხნისა და საქმის გაკეთების უნარის გამოჩენა. თუ მთავარი ლიანდაგი ქუთაისზე გაატარეს, ქალაქი შეიძლება ქალაქს დაემსგავსოს, გამოცოცხლდეს, მკვიდრს წელი გაუმაგროს და გარეშენი მიიზიდოს, თუ არა, მარტო დაფასებითი გადასახადისა და სალორიაში შენაჭერი შემის ანაბარა ვერც შორს წავა და არც ახლო ივარგებს...

ქუთათურებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ თუ ეს მეორე ლიანდაგიც ასცდა მას, მერე საბოლოვოდ უნდა დაიწმინდონ იმედი, რომ მათს ქალაქს ოდესმე ეღირსოს მაგისტრალი... **)

შორე მომავლისათვის განზრახული კავკასიის მთებზედ გადმოსაყვანი რკინის გზა ოდესმე კიდეც რომ გაატარონ ქუთაისზე, ამ ქალაქს მაინც ვერ გაუწევს ამიერ-კავკასიის რკინის გზის მთავარ-ლიანდაგის არა თუ სრულ მაგიერობას, არამედ მეათასედსაც...

ბოლოს ჩვენდა თავად გავახსენებთ ქალაქის თვითმმართველობას, რომ ახლა ცოტათი უფრო ადვილი იქნება მისთვის ეწიოს საწადელს, ვიდრე წინანდელ საბჭოსა და გამგეობისათვის იყო 1895—1896 წლებში, რადგანაც, გარდა იმისა, რომ ამ ჟამად თვით რკინის გზის მთავარ-სამმართველოს აქვს განზრახული ხაშურ-ბათუმს შუა ახალი ლიანდაგის გაყვანა, მთელი ჯგუფი იმავე რკინის გზის ინჟენერებისა უპირატესობას აძლევენ სწორედ იმ მიმართულებას, რაც ქუთათურების ნატვრას შეადგენდა და შეადგენს...

ღმერთმა ინებოს, რომ გულითადი ნატვრა დასავლეთ-საქართველოსი ახლა მაინც სავსებით შესრულებულიყოს და მთავარ-ლიანდაგს ქუთაისზე გაეარნოს!

წ ე რ ი ლ ი
რედაქციის მიმართ
მცირე განმარტება.

„ივერი“-ის № 130 მოთავსებულია წერილი ზესტაფონიდან უსახელო ავტორისა. ეს წერილი გამოწვევია ჩემს წინა წერილს. უსახელო წერილის ავტორი ეხება აღნიშნულ დაბის დღევანდელ დეპუტატების მიერ დაბეჭდილ 6 თვის ანგარიშებს.

მე ჩემს წერილში ვამბობდი, რა ხანია, ზესტაფონში აღნიშნული წეს-რიგი იქნა შემოღებულ-მეთქი.

უსახელო წერილის ავტორის წერილიდან სჩანს, რომ ბ-ნ მოამბეს ნამდვილ-საჭირო საქმისთვის,—რადგან მოსაზრებით, გვერდი აუქცევია, ძველ ანგარიშებისთვის თავი გაუნებებია და ახალ დეპუტატების გამოსვლომია. ესენი ხომ ჯერ არც-კი დაუმტკიცებია უმაღლეს მთავრობას. მიუხედავად ამისა, უკანასკნელის 6 თვის ანგარიშები რიგისამებრ დაუბეჭდავთ და თითოეულად დაურიგებიათ ყველასათვის. დეპუტატები ამისთვის მადლობის ღირსნი არიან და არა კიცხვისა.

თუ რამდენად მართლიერია აღნიშნულ დაბაში შემოღებული წეს-რიგი, მე ამის დაწვრილებით გაშინჯვას არ შევუდგები, ვიტყვი-კი, რომ აქ ხელფასი დანიშნული არა აქვთ დეპუტატებს.

დეპუტატების ვალდებულებას არ შეადგენს დაბის დაქირავება და მათი მოქმედების დაწესება, როგორც ამას ბ-ი მოამბე მოგვითხრობს. ... უნდა იყვნენ და არიან კიდევაც, თანხმად „...ივოვორის“ მე-3-მე მუხლის, ადგილობრივ მთავრობის სრულ განკარგულების ქვეშ.

დეპუტატების სავალდებულოდ ითვლება გაწერით ზესტაფონის მოვაჭრეებს და მოხელეებს (და არა მცხოვრებლებს, როგორც მოამბე ამბობს) ... და განათება-სისუფთავისთვის საწირო ფული, წლიურად 2400 მანეთამდის.

მართალია, განათება-სისუფთავის საქმე არ არის სასურველ წერტილზედ დაყენებული, მაგრამ არც ამაში არიან სასაყვედურო აღნიშნული დეპუტატები, რადგან თვითეულმა ზესტაფონელმა კარგად უნდა იცოდეს, რომ იმ ფულით, რამდენსაც ისინი იხდიან განათება-სისუფთავის დასაცვავად. თვითეული ერთი-მეორეზედ თვეში 35 კაპეიკს იხდიან და ეს გადასახადი საკმარისი არ არის და ამ ფულით ყოვლად შეუძლებელია საქმის უკეთ მოწყობა.

თუ ბ-ნ მოამბეს სურს დარწმუნდეს ანგარიშების სიმართლეში და თავის წერილის სავსებით სიცრუე თვითონვე შეამოწმოს, ანგარიშები და ყველა საქმე თავის თვალით ინახულოს.

იამანიძე.

„ივერიის“ ფოსტა:

თელავი. ერთს წევრს: ბევრი ლაპარაკი არ ვარგა. გამოგვიგზავნეთ ბიბლიოთეკის მოკლე ანგარიში.

დ ე პ ე შ ა
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

1 თიბათვე.

პეტერბურგი. საღამო პეტერგოფის სასახლეში მისის უდიდებულესობის იტალიის კაროლის პატივ-საცემლად გამართულ სადღესასწაულო ნადიმზედ ხელმწიფე იმპერატორმა შემდეგი სადღეგრძელო წარმოსთქვა:

„C'est avec une vive et profonde satisfaction, que Nous accueillons la presence de votre majesté. Il Nous est particulierement agréable, que votre majesté inaugure ses voyages, en venant parmi nous. La Russie entiere y voit un nouveau témoignages des liens de réelle amitié, qui nous unissent et s'associe à nous les sentiments et les sympathies réciproques, qui de plus en plus se manifestent entre nos peuples et favorisent le développement des relations les plus désirables dans l'interet de nos pays. Je remercie cordialement votre majesté de sa visite et Je leve mon verre à la gloire et au bonheur de son auguste personne et de leurs majestés la reine Hélène et la reine mère et de toute la famille royale; Je bois à la prosperité de l'Italie“. კაროლმა უპასუხა: „Je Vous remercie, Sire, pour Votre cordial accueil et pour les aimables paroles que Vous venez de prononcer á mon adresse et á celle de mon pays. Les liens d'amitié personelle, qui heureusement nous unissent et les bonnes relations existant depuis longtemps entre la Russie et l'Italie, me rendent particulierement agrèable cette visite. Je viens à Pétersbourg accompagné par la satisfaction de mon peuple, qui voit dans le resserement de ces lieus un nouveau gage de paix et de prosperité. C'est avec ces sentiments que je leve mon verre en honneur de Votre Majesté Imperiale, à la gloire de son regne, á la prosperité de la Russie, au bonheur de Leurs Majestés l'Imperatrice Marie Feodorowna et l'Imperatrice Alexandra Feodorowna, ainsi que de toute la Famille Impériale“.

ცეტინიე. ამ საღამოს მოვიდა თურქან-ფაშა ოსმალეთის მისსიით და ახალ დაქორწინებულთ საკუთარის ხელით გადასცა ხონთქრის წერილი და საჩუქრები.

ლონდონი. პარასკევს სოლსბერი სამსახურიდგან გამოვიდა; მის ადგილზედ ბალფური დაინიშნა.

რომი. იტალია ულოცავს მეფესა და კაროლს ერთმანეთის შეხვედრას, რაიცა თავმდები იქნება ევროპის მშვიდობიანობისა. იტალიის შეაქვს უცხოეთის პოლიტიკაში განმანათლებელი ელემენტი.

კიევი. დაარსდა საზოგადოება სწრაფად მკურნალობის აღმოსაჩენად და ამხანაგთა დასახმარებლად უბედურ შემთხვევებში. წევრთა რიცხვი 400-მდეა. თავმჯდომარედ ქალაქის თავია.

ოდესა. დიდი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე დღეს დილით პეტერბურგს გაემგზავრა.

ლონდონი. რადგანაც ჩემბერლენმა შესანიშნავი მდგომარეობა მოიპოვა, ამისათვის შესახებ ახალის კაბინეტის შედგენისა აზრები გამოიცვალა.

ლონდონი. მეფის ჯანმრთელობას თანდათანი უკეთესობა ეტყობა. მისი საზოგადო მდგომარეობა მშვენიერია. იარა მთელდება თანაბრად.

ლონდონი. ბალფურმა აცნობა უნიონისტების კრებას, რომ ჰიქს-ბიჩს უარი უთქვამს ჰადრაკის კანცლერად ყოფნისა.

რომი. გაზეთი „პოპ. რომანო“ შენიშნავს, რომ რუსთ ხელმწიფე და იტალიის მეფე შეკავშირებულ არიან არა თუ ნათესაობრივ, არამედ მეგობრულადაც. და ამიტომ თანაგრძნობას განუცხადებს გავლენიანს რუსულს გაზეთებს და ამტკიცებს, რომ ორ ამ ქვეყნების შორის უთანხმოება შეუძლებელია და არა აბრკოლებს-რა მათ შორის კანონიერი და გულითადი მეგობრობა განმტკიცდეს. გაზეთი „პატრია“ ამბობს: „მეფე სასურველი სტუმარია რუსთ ხელმწიფისა და უძღვნის მას მთელის საკუთარ ქვეყნის სალამს“.

რომი. სან-მარკოს სამრეკლო ჩამოიქცა და დაიყოლია სან-სოვინოს ლოჯეტი. იმედი აქვთ, რომ მსხვერპლი არ არის. მეიდანი, საცა იდგა დიდებული ძეგლი, ქვების 20 ადლის სიმაღლე ყორედ იქცა. მუშაობას უკვე შეუდგნენ ამ ადგილის გასაწმენდად.

პეტერბურგი. 1-ლ ივლისს იტალიის მეფე, დილით 9 ს. და 30 წ., სამეფო ნავით „ალექსანდრიით“ პეტერგოფიდგან პეტერბურგს გაემგზავრა და მიბრძანდა დილის 10 ს. და 45 წ. ქალაქი მორთულია დროშებით, ნავთსადგურზედ გაკეთებულია კამარა, მორთული დროშებით და ასომთავრულებით ხელმწიფე იმპერატორისა და იტალიის მეფისა, ზედწარწერით: „Salue“. ნავთსადგურზე კაროლს მიეგებნენ ვიცე-ადმირალი, თანაშემწენი აველანი და დელივრონი, კონტრ-ადმირალი მოლასი, ქალაქის უფროსის მოადგილე, კომენდანტი, გუბერნატორი და ქალაქის თავი. უკანასკნელმა მოახსენა ფრანგულად სიტყვა და მიართვა პურ-მარილი. კაროლმა ჩამოართვა და მადლობა განუცხადა. მერე ჩაუარა საპატიო დარაჯთა რაზმს, რომელმაც მის წინაშე გაიარა. შემდეგ კაროლი თავის ამალით სამეფო ხომალდით „პეტერგოფით“ წაბრძანდა პეტრე-პავლეს ციხეში. იმპერატორის ალექსანდრე III საფლავს დაადვა ვერცხლის გვირგვინი და მერე თავად ლოლგორუკოვის თანხლებით სადარბაზოდ წაბრძანდა გარეშე საქმეთა მინისტრისას და ელჩებისას, და წაბრძანდა იტალიის საელჩოში საუზმეზედ, რომელიც გამართული იყო კაროლის კარისაგან სახელმწიფოს უმაღლეს მოხელეთათვის. საუზმის შემდეგ კაროლს წარუდგნენ წარმომადგენელნი პეტერბურგელ, მოსკოველ და ოდესელ იტალიელთა. სამს საათზედ კაროლი წაბრძანდა საზამთრო სასახლეში, სადაც მიიღო სადიპლომატო კრებული.

ლონდონი. სალისბერის სამსახურიდგან გამოსვლამ არავინ გააკვირვა. რამდენიმე თვის წინადვე სჩანდა, რომ მეუღლის გარდაცვალებისა გამო მწუხარებას ვერ აიტანდა. თუმცა მის ჯანმრთელობას არა დააკლდა-რა, მაგრამ რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურის ტვირთმა თავისი ნიშანი დაატყო. რადგან სალისბერი მხოლოდ ფორმალურად ითვლებოდა სახელმწიფო ბეჭდის საიდუმლო დამცველად, ამიტომ დღევანდელ კაბინეთში დიდს ცვლილებას არ ელიან. რაკი ბალფური, როგორც სახელმწიფოს სალაროს პირველი ლორდი და საზოგადოებათა პალატის თავმჯდომარე, პირველ მინისტრად დაინიშნა, ისევ ძველანდელ წეს-რიგს დაუბრუნდნენ, რომელიც განგებ დაარღვიეს მხოლოდ სალისბერის დანიშვნის დროს.

2 ქათათვე.

პეტროვსკი. დღეიდგან დაღესტნის ოლქში ღვინით ვაჭრობა ხაზინის ხელში გადავიდა.

მოსკოვი. დღეს „ტრიოხგორნი ზასტავ“-ის გარედ ჩაჰყარეს საძირკველი საბალოსნო სასწავლებლის ქვითკირის შენობისა, რომელშიაც 70 მოწაფე უნდა მოთავსდეს.

ლოძი. დიდ-ძალმა ვაჭრობამ მოიყარა თავი იმპერიის სხვა-და-სხვა კუთხიდამ; მოსკოველ ნარდად მოვაჭრეთა ოთხ მილიონ მანეთის საქონელი გაიტანეს ლოძიდგან; ბევრს საქონელს ყიდულობენ ვაჭრები მეტადრე სამხრეთ-დასავლეთ გუბერნიებიდგან. სეზონი გასტანს დამდეგ მარიამობის თვემდე.

დრუსკენიკი. დაიწყო სამკურნალო წყლების აბანოთა შენობა. მიიღეს ზომები, რომ იმ ავათმყოფთათვის მაინც დაამზადონ აუზები, რომელნიც უკვე მოსულან სამკურნალოდ.

ათინა. ბუქარესტში მყოფი საბერძნეთის ელჩი არშროპულო პეტერბურგის ელჩად დაინიშნა.

ცეტინიე. ოსმალეთის მისსია ოფიციალურად დიდის ამბით მიიღეს. საფრანგეთის მთავრობის წარმომადგენელმა ბატონიშვილ მირკოს საპატიო ლეგიონის ორდენი გადასცა და ლუბეს მხრით ბედნიება უსურვა.

რომი. გაზეთები დიდის სიამოვნებით აღნიშნავენ იმ პატივისცემას, რომლითაც მეფე მიიღეს.

პეკინი. უმთავრეს სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა გაუგზავნეს ჩინეთის მთავრობას ნოტა ტიანძინში მმართველობის მოსპობის შესახებ.

რომი. ვენეციაში დანგრეულმა წმ. მარკოსის სამრეკლომ დაანგრია სან-სავინოს ლოჯეტა, პროკურაციის კარი და სამეფო სასახლის წიგნთ-საცავის დარბაზი. რადგანაც სამრეკლოს დანგრევა რამდენიმე წუთის წინად შეამჩნიეს, მოედანი ხალხისაგან დაიცალა და ამიტომ უბედურებას არავინ უმსხვერპლია, თუმცა რამდენიმე მსუბუქად დაჭრილი მაინც არის. ამ საღამოს ქალაქის საბჭოს საგანგებო კრებაა მოწვეული.

პეტერბურგი. სასჯულო საქმეთა მინისტრის მურავიოვის პეტერბურგიდგან წასვლის გამო სამინისტროს მართვა-გამგეობა მიენდო სენატორს შმემანს.

2 ივლისს, საღამოს, სატახტო ქალაქის გაზეთებმა მიიღეს ცნობა საშინელის უბედურების შესახებ, რომელიც მოხდა მდინარე ლუგზედ: 29 ივნისს გემი „ლუგა“, რომელიც ვარშავის რკინის გზის სადგურ პრეობრაჟენსკისა და დაბა ხილოკს შუა დადის, გადამეტებულის ხალხით დატვირთვის გამო, დაიძირა. გადარჩნენ მხოლოდ ბაქანზედ მყოფნი, კაიუტებში მყოფნი-კი დაიხრჩნენ. დაღუპულთა რიცხვი ჯერ გამოკვლეული არ არის, ხოლო ჰფიქრობენ, რომ ოც და ათიდგან სამოცამდე უნდა იყვნენ.

პეტერბურგის ბირჟა, 28 ივნისს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირ. სტ.	94,10
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,27½
პარიჟში „	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	97 გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	99 მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. სათავ. მამულთა ბანკისა	—
5% 1-ლ შინ. სესხის მოგებ. ბილ. 1864 წ.	466 გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მოგებ. ბილ. 1866 წ.	357¼ წყ. გაყ.
5% გირავნ. მოგ. ფურც. სახელმ. სათავ.-მამ. ბანკისა	290¾ წყ. გაყ.
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	82¼ წყ. გაყ.
5% ტფილ. სათავ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცელ.	90 გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. სათავ.-მამ. ბანკის გირ. ფურცელ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაიები ძმ. ნობელის ნავთის მრეწვ. აქციები	10525 გაყ.
„ კასპიის ამხანაგობისა	4525 გაყ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	—
„ ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	170 წყ. გაყ

ყოველ-დღიური საჭირო ცნობანი:

რკინისგზის მატარებლების მიმოსვლა 18 აპრილიდგან 1902 წლისა

(საათი და წუთები უჩვენებენ ტფილისის დროს).

	მოდის ტფილ.	გადის ტფილ.
ბ ა ქ ო.		
სწრაფი მატარებელი (პარასკევობით)	3 ს. 43 წ. დღ.	11 ს. 49 წ. დილ.
ფოსტის „ (ყოვ.-დღე)	4 ს. 54 წ. დღ.	1 ს. 34 წ. დღ.
სამგზავ. „	8 ს. 37 წ. დილ.	8 ს. 22 წ. საღ.
ბ ა თ უ მ ი.		
სწრაფი მატარებელი (ყოველ-დღე)	10 ს. 2 წ. დილ.	7 ს. 43 წ. დილ.
ფოსტის „	12 ს. 32 წ. დღ.	6 ს. 7 წ. საღ.
სამგზავ. „	7 ს. 37 წ. საღ.	9 ს. 27 წ. დილ.
ყარსი და ალექსან.		
ფოსტის მატარებელი (ყოველ-დღე)	7 ს. 18 წ. დილ.	9 ს. 28 წ. საღ.
სამგზავრო და საქონ. (მხოლოდ ალექსანდროპოლამდე და ალექსანდროპოლიდგან).	4 ს. 35 წ. დღ.	3 ს. 13 წ. დღ.
ბ ო რ ჯ ო მ ი.		
სამგზავრო მატარებელი (ყოველ-დღე).	6 ს. 57 წ. დილ.	6 ს. 22 წ. დღ.
სამგზავრო „	9 ს. 53 წ. საღ.	2 ს. 28 წ. დღ.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმ პირთ, რომელთაცა ჰსურთ საბოლოო საარჩევნო სიაში მოჰყვნენ, შეუძლიათ შემოიტანონ მათზედ დარჩენილი ქალაქის გადასახადი, სანამ გათავდებოდეს სიის ბეჭდვა, რომელსაც უკვე შეუდგნენ და მალეც დაასრულებენ. (1—6.—1)

ტფილისში, ვარანცოვის ქუჩის თავში, ძველ აბანოებთან გაიმართა ევროპიულად მოწყობილი

თბილი გოგირდის აბანო

„ფ ა ნ ტ ა ზ ი ა“

თავად სუმბათაშვილებისა, რომელშიაც ცალკე ნომრებიც არის და საერთო საბანოც (კაცებისათვის). როგორც ნომრებში, ისე საერთო აბანოში აუზები სულ მარმარილოსია, იატაკი დაგებულია ტომეტის ფილაქნით და კედლები და თაღები-კი სულ საზღვარ-გარეთის ჩინურით (კაფელით). საუკეთესო სუფთაობა, წყალი ბუნებით გოგირდისაა. წყლის ს ... 37½ ც. ფასი მცირეა. კონკ ... ქვე დგება.

იჯარადარი ა. თოიძე (სანდრო).

ტფილისი № 555 (6.—(წლ.

ნავთის-მრეწველთა ამხანაგობა

„შ ხ ტ ა“

აცხადებს ბ-ნთ პაის პატრონთა საყურადღებოდ, რომ მან დაჰნიშნა 5%-იან შემოსავლის ვადად, ესე იგი 5 მანეთისა თითოულ

პაიზედ, 19-დგან 28 ივნისამდე და 28 ივნისიდგან 8 ივლისამდე ჯარიმიანის თანხმად საამხანაგო ხელ-შეკრულობის მე-7 §-ისა. (5—364—4)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

სუმბწვილთ ამბები ეკ. გაბაშვილისა	„ 30
საქართ. ისტორია ბროსესი I-II ნაწ.	1 40
Земельные вопросы и преступность на Кавказѣ Г. Тумановъ	„ 60
საღიტერატურო ქართული. სიღიბან ხუნდაძის გამოკვლევა	1 მ.
მოთხრობანი დ. კლდიაშვილისა	„ 30
ყოველის მხრიდგან. არბოლისა	„ 10
ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	„ 15
ისტორია ბავშვის სულის მდგომარეობისა	„ 50
ამბავი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძისა	„ 15
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	„ 30
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირისა	„ 5
ამა ტფილელი, ე. კ.	„ 30
Або Тифлисскій, Е. К.	„ 5
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	„ 60
გიორგი და მიხეილი	„ 10
რ. ასაშიძისა	„ 60
დ. გაბრუშვილისა	„ 25
მეფის წიგნი, კ. თავაშვილისა	„ 40
მუშათა კითხვა	15 „
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. ზ. ჭიჭინაშვილისა	1 „
Царица Тамара, М. Джанашвили	„ 50
მოძღვრებანი, ი. გამრეკელისა	„ 40
Древній Анчисхатскій соборъ. Карбеловъ	„ 20
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანისა	„ 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძისა	„ 30
ხანგი, გ. ასაშიძისა	1 „
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძისა	
კომერნიკიდან დარვინამდე	„ 10
განდეგილი, მ. ლელაშვილისა	„ 15
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
უცხოეთა დადგებანი, მ. ჯანაშვილისა	„ 15
მეცნიერებისთვის წამებული	1 „
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელი და მარტში, თრ. ედ. წერეთლისა	„ 10
ტისარტელი, ვ. ბარნოვისა	„ 30
ცხოვრება სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილისა	1 „
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	„ 5
დედა, ანდერსენისა	„ 8
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	„ 30
გუბიაშვი ქართულის ანბანისა	1 მ. 20
დღესვები განდეგილისა	„ 50
ბედოშვილისა	„ 50
დამონებული, თარ. თ. ახოვანსა	1 მ. „
ცხოვრება წმ. ნინოსი	„ 20
Двѣ святыны въ Кахетіи, Е. К.	„ 10
Давидъ Гареджели, Е. К.	„ 15
ეტიუდები, თ. ხუსკივაძისა	„ 15
დინე, მოთხრობა	„
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	„ 40
Назрѣвшій Е.роповъ, К.	„ 20
ოდი წლის ჩანჯე, გ. წერეთლისა	„ 5
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ	„ 3
ამბავი მადლის ქვისა	„ 5
ავადმყ. სამწვილთა, მთარგ. ი. გოგებაშვ.	„ 15
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. „ 50
ბერანჟე, თარგ. გ. გვზავასი	„ 40
მენის	„ 10
ბუნების საიდუმლო მოვლენანი, ს. ჯუღელისა	„ 15
მამაშვილნი, აკაკისა	„ 30
ბუნება სურათებში, ი. ახალაშვილისა 1 მ.	„ 30
დღეგონ-ქართული ისტორია III—IV ტ. 1 მ.	„ 20
ალმაცერი, აკაკისა	„ 5
გასართობი	„ 10

-----

*) მთავარი ლიანდაგი.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 іюля 1902 г. Типографія «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства. ... ა. ი. ხახანაშვილი გამომცემელი ი. ჭავჭავაძე